საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N 6

თბილისი, 2018

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

ავტორები:

ნინო ნოზაძე
(საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

ოლღა შერმადინი
(საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო)

რედაქტორი:

თამარ ბაკურაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები:

ეკატერინე ციმაკურიძე
(საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

სულხან სალაძე
(საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია)

გია გვილავა
(საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო)

ანგარიში მომზადებულია აქტივობის, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”. წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), აშშ-ის მთავრობის და EWMI-ის შეხედულებებს.

სარჩევი

I. მოკლე მიმოხილვა 6

II. მეთოდოლოგია 9

1. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის დაუბალანსებელი ძალაუფლება საბჭოს განახლებულ შემადგენლობაში 10

1.1. ცვლილებები საბჭოს შემადგენლობაში 11

1.2. განსხვავებული აზრის მიუღებლობა 14

1.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხის შემცირება 17

1.4. საბჭოს საქმიანობის ნორმატიული მოწესრიგების საჭიროება 18

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა და მენეჯმენტი 21

2.1. სხდომებთან დაკავშირებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება 21

2.2. სხდომების მომზადება და მენეჯმენტი 24

2.3. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება 26

2.4. სხდომების გადაღება და გაშუქება 27

2.5. საბჭოს წევრებისა და აპარატის ფინანსური გამჭვირვალობა 28

2.6. საზოგადოებისთვის დახურული ინფორმაცია 30

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა 33

3.1. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა 33

3.2. მსმენელთა მიღება იუსტიციის სკოლაში 47

3.3. მოსამართლეთა სპეციალიზაციის პრობლემა, მივლინება, მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანა 48

4. სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის გამოწვევები და საბჭოს მიერ სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის პრაქტიკა 52

4.1. კანონმდებლობის მიმოხილვა 52

4.2. სასამართლოს, პალატის, კოლეგიის თავმჯდომარეებისა და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა და გათავისუფლება 54

4.3. საქმეთა განაწილების საბჭოს მიერ დამტკიცებულ ელექტრონულ წესში ასახული სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილებები 59

5. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა 62

5.1. დისციპლინური სამართალწარმოებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა 62

5.2. ინსპექტორის შერჩევა/დანიშვნის შეფასება 64

5.3. დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი 66

5.4. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის შემდგომი პერიოდის სტატისტიკა 67

I. მოკლე მიმოხილვა

უკანასკნელ წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის შედეგები სასამართლოს სისტემაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე და საბჭოს საქმიანობაში ძირეული ცვლილებების საჭიროებაზე მიუთითებდა. 2017 წელს საბჭოს შემადგენლობა თითქმის მთლიანად განახლდა (როგორც მოსამართლეთა კონფერენციის, ისე საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული წევრებით), ასევე ამოქმედდა სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღა". ყველა ზემოაღნიშნული გარემოება საბჭოს მუშაობაში და სასამართლო ხელისუფლებაში რეალური ცვლილებების გასატარებლად შეიძლებოდა, გამოყენებულიყო. მიუხედავად ამისა, 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგმა გამოავლინა, რომ საბჭოს განახლებული შემადგენლობა კვლავ გაუმჭვირვალედ, ძალაუფლების კონცენტრაციისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობის პირობებში მოქმედებდა, რაც, თავის მხრივ, გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების არაეფექტიანობასა და ქვეყანაში სასამართლო სისტემის სრულფასოვანი რეფორმირების შესახებ პოლიტიკური ნების ნაკლებობაზე მიუთითებს.

2017 წელს საბჭოს ახლადარჩეულმა მოსამართლე წევრებმა მათი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად არა სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, არამედ წინა შემადგენლობის მიერ აღებული გეზის შენარჩუნება დაისახეს. სათანადო პრინციპულობა და ინდივიდუალური ხედვები ვერც პარლამენტის მიერ ახლადარჩეული არამოსამართლე წევრების უმრავლესობამ ვერ გამოავლინა. შედეგად, **შემადგენლობის განახლებას საბჭოს საქმიანობაში არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია.**

2017 წლის დასაწყისში ძალაში შევიდა სასამართლო რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის" ცვლილებები. მაგრამ საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა **შერჩევა/დანიშვნის** პროცესმა აჩვენა, რომ გატარებულ რეფორმას რეალური შედეგი არ მოჰყოლია და 141 მოსამართლე თანამდებობაზე კვლავ დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების საფუძველზე დაინიშნა (მათ შორის 67 - უვადოდ). იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არ უზრუნველყო არც მოსამართლეთა **დისციპლინური სამართალწარმოების** პროცედურასთან დაკავშირებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებების დროული და ეფექტიანი იმპლემენტაცია. შედეგად, მნიშვნელოვანი დაგვიანებით მოხდა საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევა და შეფერხდა დისციპლინური საჩივრების დროულად განხილვა. უარყოფითად უნდა შეფასდეს „მესამე ტალღის" საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შემოღებული წესი, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეს უფლებას აძლევს, იმავდროულად იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრიც. ამ ცვლილებამ ხელი შეუწყო ძალაუფლების კიდევ უფრო მეტად კონცენტრაციას მოსამართლეთა ერთი ჯგუფის ხელში.

საბჭოს საქმიანობაში მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა საკანონმდებლო რეფორმის მიღმა დარჩენილი სხვა საკითხებიც: სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის/გათავისუფლების გაუმჭვირვალე და თვითნებური პრაქტიკა, საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა, დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობისთვის არასათანადო საკანონმდებლო გარანტიები და საბჭოს საქმიანობის ნორმატიული რეგულირების საჭიროება.

2017 წელს დამკვიდრდა საბჭოს სხდომების ვიდეო ოქმების ვებგვერდზე განთავსების დადებითი პრაქტიკა, რამაც დაინტერესებულ პირებს საშუალება მისცა, საჯარო ინფორმაციის

წერილობით გამოთხოვის გარეშე გასცნობოდნენ საბჭოს საქმიანობას. თუმცა, საანგარიშო პერიოდში საბჭოს საქმიანობის **გამჭვირვალობის მიმართულებით** გამოიკვეთა უარყოფითი ტენდენციაც, როდესაც მოსამართლეობის უპრეცედენტოდ ბევრმა კანდიდატმა (2014-2016 წლებში სულ 4-მა, ხოლო 2017 წელს 45-მა) მოითხოვა გასაუბრების ეტაპის დახურვა (მათ შორის იყვენენ საბჭოს მოსამართლე წევრები და მათთან ახლონათესაურ კავშირში მყოფი კანდიდატები). ასევე, სრულიად გაუმჭვირვალედ წარიმართა დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის შესარჩევად გამოცხადებული კონკურსებიც. საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობას ასევე აზიანებდა ის, რომ საანგარიშო პერიოდში საბჭო მუდმივად არღვევდა სხდომების შესახებ ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გამოქვეყნების ვალდებულებას. ნეგატიურად უნდა შეფასდეს საბჭოს საქმიანობაში **სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხის შემცირებაც.** საბჭოს განახლებულმა შემადგენლობამ მხარი აღარ დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში. სამოქალაქო ორგანიზაციების შენიშვნები სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საბჭოს მხრიდან დღემდე, როგორც წესი, რეაგირების გარეშე რჩება ან ფასდება როგორც სასამართლო ხელისუფლებაზე „თავდასხმა".

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ხარვეზები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **მენეჯმენტშიც**. არ არის მოწესრიგებული საბჭოს სხდომების მოსამზადებელი პროცედურები. საანგარიშო პერიოდში არაერთხელ გადაიდო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ ის საბჭოს წევრების მხრიდან უკეთ შესწავლასა და მომზადებას საჭიროებდა. იყო შემთხვევები, როდესაც საკითხის განხილვა იმ მიზეზით გადავადდა, რომ შესაბამისი მასალები დროულად არ მიეწოდა საბჭოს ყველა წევრს. როგორც საბჭოს, ისე საერთო სასამართლოების სისტემის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ხარისხს ამცირებს ის ფაქტი, რომ საბჭომ სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის" ცვლილებების ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგაც არ უზრუნველყო საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის შერჩევა და მისი აპარატის დაკომპლექტება.

განსაკუთრებით ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის, რომ 2017 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გრძელდებოდა **განსხვავებული აზრის დევნა** და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის არაჯანსაღი გავლენების დემონსტრირება. მოსამართლე წევრები ყველა საკითხზე, როგორც წესი, ერთგვაროვან პოზიციებს აფიქსირებდნენ და გადაწყვეტილებების მისაღებად მუდმივად ახერხებდნენ არამოსამართლე წევრების საჭირო რაოდენობის მხარდაჭერის მოპოვებას. განსხვავებული აზრი, ძირითადად, ორი არამოსამართლე წევრის და ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან ისმოდა. სხდომებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ საბჭოს წევრებს უჭირთ ერთმანეთთან ეთიკურ, კონსტრუქციულ რეჟიმში დისკუსია. 2017 წლის განმავლობაში საზოგადოებას ხშირად ესმოდა საბჭოს სხდომებზე ხმამაღალი საუბარი, პერსონალური ხასიათის არაეთიკური ბრალდებები და აგრესიული განცხადებები, რასაც ხშირად არაფერი ჰქონდა საერთო სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საგნობრივ, არგუმენტირებულ დისკუსიასთან. საგანგაშოდ უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში კოლეგები ზეწოლაში ღიად დაადანაშაულეს ერთ-ერთმა არამოსამართლე წევრმა და საბჭოს თავმჯდომარემ.

საერთო ჯამში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის საქმიანობის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ საბჭო მისთვის მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებებს ხშირად არაჯანსაღი მიზნებით იყენებს, რაც სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობას სულ უფრო ამცირებს. შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკანონმდებლო

ცვლილებების დროულად და რეალურად გატარებას, რამაც მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს სისტემის კონტროლის ბერკეტები უნდა გამოაცალოს და საბჭოს საქმიანობის ყველა ფორმა გამჭვირვალე, დასაბუთებულ და განჭვრეტად პროცედურებს უნდა დაუქვემდებაროს. იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები საინტერესო იქნება როგორც საბჭოს წევრებისათვის, ისე სასამართლოს სისტემის მუშაობასა და რეფორმირებაში ჩართული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისა და ორგანიზაციებისათვის.

II. მეთოდოლოგია

პროექტის - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში, რომელიც USAID-ის დაფინანსებით აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით ხორციელდება, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია” (საია) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” 2012 წლის მარტიდან ყოველწლიურად ახორციელებენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგს.[1]

2017 წლის საბჭოს მონიტორინგის ანგარიში 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს და მისი მიზანია, საბჭოს საქმიანობის დადებითი თუ უარყოფითი ტენდენციები გამოავლინოს, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას, მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასა და მიუკერძოებლობას. ანგარიში ეფუძნება: საბჭოს სხდომებზე, აგრეთვე სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლების უშუალო დასწრებით მოპოვებულ ინფორმაციასა და მის ანალიზს; მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლასა და ანალიზს; საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მოპოვებული და საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების ანალიზს. გარდა ამისა, ანგარიშში გამოყენებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტები და მოსაზრებები სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2013, https://goo.gl/VGPFdp;
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N2, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2014, https://goo.gl/o07Sz3;
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N3, „საქართველოს ახალგაზრდა ურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2015, http://bit.ly/2cbgioj;
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2016, http://bit.ly/2bx4dd4;
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში N5, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2017, https://goo.gl/yB3Nc4;

1. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის დაუბალანსებელი ძალაუფლება საბჭოს განახლებულ შემადგენლობაში

ძირითადი მიგნებები:

- **2017 წელს როგორც პარლამენტის, ისე მოსამართლეთა კონფერენციის მიერ საბჭოს ახალი წევრების არჩევის პროცესი არ იყო გამჭვირვალე და პროფესიულ შეფასებაზე დაფუძნებული. შემადგენლობის განახლებას საბჭოს საქმიანობაში არსებითი ცვლილებები არ მოჰყოლია. ახალადარჩეული მოსამართლე წევრები მათი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად წინა შემადგენლობის მიერ აღებული გეზის გაგრძელებას მიიჩნევდნენ.**

- **2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განახლების პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ საბჭოში მოსამართლე წევრების პოზიციებზე, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წევრები ხვდებიან, რომელთა უმრავლესობასაც უკავია ან წლების მანძილზე ეკავა თავმჯდომარის თანამდებობა. სასამართლო სისტემაში ცალკეული პირების ხელში ძალაუფლების ზედმეტად კონცენტრაციას ხელი შეუწყო სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის" ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემოღებულმა წესმა, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეს უფლებას აძლევს, იმავდროულად იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.**

- **იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გრძელდებოდა განსხვავებული აზრის დევნა და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის არაჯანსაღი გავლენების დემონსტრირება. კრიტიკული აზრის მიუღებლობა გამოიხატებოდა როგორც საკუთარი კოლეგებისა და დამსწრე საზოგადოების მიმართ არაეთიკურ დამოკიდებულებაში, ისე განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების მიმართ უთანასწორო მოპყრობაში.**

- **საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე პოზიტიური შემთხვევა, როდესაც საბჭოს სხდომებზე მოწვეული იყვნენ გარეშე პირები საბჭოსათვის საკუთარი კვლევების/ანგარიშების გასაცნობად. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, 2017 წელი საბჭოს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კუთხით მკვეთრი გაურესებით ხასიათდებოდა. საბჭოს განახლებულმა შემადგელობამ მხარი აღარ დაუჭირა არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის შესრულების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფებში.**

- **კანონმდებლობით, საბჭოს საქმიანობა დღემდე სათანადოდ დარეგულირებული არ არის. მარეგულირებელი ნორმების არარსებობა საბჭოს საშუალებას აძლევს, მიიღოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, რომლებზეც სათანადო სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. არსებული ვითარება საბჭოს ანგარიშვალდებულებას ამცირებს და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს ზრდის. საბჭოს საქმიანობის რეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე საბჭოს რიგი არათანმიმდევრული გადაწყვეტილება და პრობლემები საქმიანობის ეფექტიანი მენეჯმენტის მიმართულებით.**

1.1. ცვლილებები საბჭოს შემადგენლობაში

2017 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა არსებითად განახლდა და მისი 15 წევრიდან 11 შეიცვალა. იქიდან გამომდინარე, რომ 2013 წელს დაკომპლექტებული საბჭოს საქმიანობა ხშირად მწვავე კრიტიკის საგანი ხდებოდა[2], 2017 წელს საბჭოს განახლების პროცესის მიმართ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა.

<u>არამოსამართლე წევრების არჩევა</u>

2017 წელს საბჭოში პარლამენტის კვოტით დანიშნული არამოსამართლე წევრების შემადგენლობა სრულად განახლდა. 23 მარტს საკანონმდებლო ორგანომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე **შოთა ქადაგიძე** აირჩია. მანამდე ეს თანამდებობა 4 წლის მანძილზე იყო ვაკანტური, იქიდან გამომდინარე, რომ კანონმდებლობა 1 არამოსამართლე წევრის ასარჩევად დეპუტუტატების ⅔-ის მხარდაჭერას, ანუ საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის საერთო კანდიდატზე შეთანხმებას, მოითხოვდა. სასამართლო სისტემის რეფორმის ე. წ. „მესამე ტალღის" ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრის არჩევა ხმათა ⅔-ის ნაცვლად სრული შემადგენლობის უმრავლესობით მოხდა.

შოთა ქადაგიძის კანდიდატურა პარლამენტს ორგანიზაციამ „ახალგაზრდა ადვოკატები" წარუდგინა; ის პარლამენტმა ისე დაამტკიცა, რომ საჯარო დისკუსია არ გამართულა და დეპუტატებს მისთვის კითხვები არ დაუსვამთ. „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, პარლამენტმა საბჭოს წევრად შეიძლება აირჩიოს პირი, რომელსაც აქვს მაღალი რეპუტაცია და რომელიც სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია.[3] მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებისთვის არაფერი იყო ცნობილი შოთა ქადაგიძის გამოცდილების შესახებ. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, იგი ბოლო 4 წლის მანძილზე კერძო საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა,[4] თუმცა მისი სახელი საზოგადოების ფართო წრეებისთვის ცნობილი არც ამ პერიოდში ყოფილა.

2017 წლის 21 ივნისს პარლამენტმა საბჭოს კიდევ 4 ახალი არამოსამართლე წევრი აირჩია. ახალმა წევრებმა ევა გოცირიძე, გოჩა მამულაშვილი, კახაბერ სოფრომაძე და ვახტანგ თორდია ჩაანაცვლეს. მოცემულ შემთხვევაში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივა, რომელიც თითოეული კანდიდატისათვის 5-წუთიანი მოხსენების გაკეთების შესაძლებლობის მიცემას გულისხმობდა, დადებითად შეიძლება შეფასებულიყო, რომ არა პროცესის ფორმალური ხასიათი. მიუხედავად მაღალი საჯარო ინტერესისა, კომიტეტის წევრებს და დამსწრე პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, კონკრეტული კითხვებით მიემართათ კანდიდატებისათვის.[5]

---

2 *არასამთავრობო ორგანიზაციებმა სასამართლო სისტემაში განვითარებული მოვლენებისადმი პროტესტის ნიშნად ანგარიშის პრეზენტაციაზე უარი თქვეს,* კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", მაისი, 2017, https://goo.gl/uNzewY; *კოალიცია სასამართლოში განვითარებულ პროცესებს უარყოფითად აფასებს,* კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", მაისი, 2017, https://goo.gl/u4ATjQ;

3 „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47 (6)-ე მუხლი;

4 შოთა ქადაგიძის ბიოგრაფიული მონაცემები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, https://goo.gl/6hjuuU;

5 *კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განახლებულ შემადგენლობას მიმართავს,* კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", ივლისი, 2017, https://goo.gl/NvjbV2;

საბოლოოდ, პარლამენტმა ფარული კენჭისყრით მხარი დაუჭირა **ნაზი ჯანეზაშვილის, ირმა გელაშვილის, ლევან გზირიშვილისა და ზაზა ხარებავას** კანდიდატურებს. არჩეული კანდიდატების უმრავლესობის პოზიცია სასამართლო სისტემაში მიმდინარე და განსახორციელებელი რეფორმების თაობაზე საზოგადოებისათვის უცნობი იყო. ასევე ბუნდოვანი იყო, თუ რის საფუძველზე მოიპოვეს არჩეულმა წევრებმა პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერა.

დღეის მგომარეობით საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევის მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საბჭოს წევრთა არჩევის გამჭვირვალე და პროფესიულ შეფასებაზე დაფუძნებულ პროცესს. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი წარუდგინა. საკომიტეტო განხილვის დროს პარლამენტის წევრები დაეთანხმნენ საბჭოს წევრთა არჩევის პროცედურების დახვეწის საჭიროებას.[6] მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ორგანომ დროულად არ უზრუნველყო კანდიდატების განხილვისა და შეფასების სათანადო პროცედურების პარლამენტის რეგლამენტით გაწერა.

<u>მოსამართლე წევრების არჩევა</u>

2017 წლის 8 აპრილს, მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით, პაატა სილაგაძე და ილონა თოდუა საბჭოში **გიორგი მიქაუტაძემ და რევაზ ნადარაიამ** ჩაანაცვლეს. კანდიდატების დასახელებამდე მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარემ და საბჭოს მოსამართლე წევრმა ლევან თევზაძემ კოლეგებს მიმართა და განმარტა, რომ, კანონის მიხედვით, საბჭოს 4 მოსამართლე წევრი *უნდა* იკავებდეს ადმინისტრაციულ თანამდებობას. მსგავსი განმარტების გაკეთება შეიძლება შეფასდეს როგორც მოსამართლეების შეცდომაში შემყვანი განცხადება, ვინაიდან კანონი ამგვარ მოთხოვნას არ ითვალისწინებს და მხოლოდ საბჭოში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი მოსამართლეების მაქსიმალურ რაოდენობას ადგენს. 8 აპრილის კონფერენციაზე 2 კანდიდატი დასახელდა: თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძე და ამავე სასამართლოს წინასასამართლო და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე რევაზ ნადარაია. კენჭისყრამდე ლევან თევზაძემ კანდიდატებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა სურვილი, სიტყვით მიემართათ კონფერენციისათვის, მაგრამ მათ ამ შესაძლებლობით არ ისარგებლეს.

2017 წლის 24 ივნისს მოსამართლეთა კონფერენციაზე მოსამართლეებმა საბჭოს ახალ წევრებად **ირაკლი შენგელიას, ირაკლი ბონდარენკოს, დიმიტრი გვრიტიშვილისა და ვასილ მშვენიერაძის** კანდიდატურებს დაუჭირეს მხარი. ამავე დღეს, მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით, საბჭოს მდივნის თანამდებობაზე ლევან მურუსიძე გიორგი მიქაუტაძემ ჩაანაცვლა. დღის წესრიგის[7] თანახმად, ოთხი ვაკანტური თანამდებობიდან ორზე ცალკე კენჭი უყარეს იმ კანდიდატებს, რომლებიც, კანონმდებლობის თანახმად, უფლებამოსილნი არიან, საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოთ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, ან სასამართლო კოლეგიის, ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. დარჩენილი ორი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კი კენჭი ეყარათ იმ მოსამართლეებს, რომლებიც ადმინისტრაციულ

6 *არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტს მოუწოდებენ, უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრების არჩევის გამჭვირვალე და პროფესიულ შეფასებაზე დაფუძნებული პროცესი*, ივნისი, 2017, https://goo.gl/kNA3tP;

7 მოსამართლეთა XXI-ე რიგგარეშე კონფერენციის დღის წესრიგი, https://goo.gl/EUprvd;

თანამდებობას არ იკავებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ბონდარენკო და ვასილ მშვენიერაძე კენჭისყრისას მენეჯერულ თანამდებობებს არ ითავსებდნენ, საყურადღებოა, რომ ირაკლი ბონდარენკო 2012-2017 წლებში თავმჯდომარეობდა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, ხოლო ვასილ მშვენიერაძე 2012-2016 წლებში მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. როგორც საბჭოში მოსამართლე წევრების არჩევის პროცესზე 5-წლიანი დაკვირვება აჩვენებს, საბჭოს შემადგენლობაში, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წევრები ხვდებიან, რომელთა უმრავლესობასაც უკავია ან წლების მანძილზე ეკავა თავმჯდომარის თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის" ცვლილებებამდე, სასამართლოს თავმჯდომარე ვერ გახდებოდა საბჭოს წევრი, ხოლო კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეების რაოდენობა საბჭოში 3-ზე მეტი არ შეიძლებოდა, ყოფილიყო. „მესამე ტალღის" ცვლილებებით, სასამართლოს თავმჯდომარე, პირველი მოადგილე და მოადგილე შეიძლება გახდეს იუსტიციის საბჭოს წევრი იმ შეზღუდვით, რომ იუსტიციის საბჭოში თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების საერთო რიცხვი ოთხს არ უნდა აღემატებოდეს. ვენეციის კომისიის 2013 წლის დასკვნის[8] თანახმად, იმისათვის, რომ არ მოხდეს ცალკეული პირების ხელში ძალაუფლების ზედმეტად კონცენტრაცია, შესაძლებელია, დადგინდეს მოთხოვნა, რომ იუსტიციის საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარემ დატოვოს თავმჯდომარის ადმინისტრაციული თანამდებობა. მსგავსი რეკომენდაცია ჰქონდათ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, მაგრამ ის არ იქნა გათვალისწინებული კანონპროექტების მიღებისას. [9]

კოალიციამ არაერთხელ მოუწოდა მოსამართლეთა კონფერენციას, საბჭოს წევრებად ნომინირებული კანდიდატებისათვის შესაძლებლობა მიეცა, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მდგომარეობის, მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ საკუთარი ხედვა წარედგინათ. კოალიციამ ასევე მოუწოდა კონფერენციას, კანდიდატებისათვის კითხვები დაესვა.[10] სამწუხაროდ, აღნიშნული მოწოდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არც ამ არჩევნებზეც იქნა გათვალისწინებული. მოსამართლეთა კონფერენციის მსვლელობისას ნომინირებულ კანდიდატებს არც საკუთარი ხედვა და მოსაზრებები წარმოუდგენიათ და არც მოსამართლეთა კონფერენციის მონაწილე მოსამართლეებს დაუსვამთ მათთვის კონკრეტული შეკითხვები. მოსამართლეთა კონფერენციას მოკლე, ზოგადი სიტყვით მიმართეს მხოლოდ საბჭოს მდივნობის კანდიდატებმა გიორგი მიქაუტაძემ და რევაზ ნადარაიამ, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

მოსამართლეთა კონფერენციის დასრულების შემდეგ საბჭოს ახალარჩეული მოსამართლე წევრების მიერ მედიასთან გაკეთებული განცხადებებიდან[11] გამოჩნდა, რომ ახალი წევრები მათი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად არა არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას, არამედ წინა შემადგენლობის მიერ აღებული გეზისა და მიღწეულის შენარჩუნებას მიიჩნევენ.[12]

---

8 CDL-AD(2013)007-e, Opinion on the Draft Amendments to the Organic Law on Courts of General Jurisdiction of Georgia adopted by the Venice Commission at its 94th Plenary Session (Venice, 8-9 March 2013) 11.03.2013;

9 *კოალიცია მოუწოდებს პარლამენტს, გაითვალისწინოს პრეზიდენტის შენიშვნები მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღასთან" დაკავშირებით*, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", იანვარი, 2017, https://goo.gl/1AKzXs;

10 *კოალიციის მიმართვა მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციას*, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", აპრილი, 2017, https://goo.gl/AjkWMN;

11 *იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 4 ახალი წევრი და ახალი მდივანი ჰყავს*, „რუსთავი 2", ივნისი, 2017, https://goo.gl/qtD4TJ;

12 *კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განახლებულ შემადგენლობას მიმართავს*, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე

1.2. განსხვავებული აზრის მიუღებლობა

2017 წლის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გრძელდებოდა განსხვავებული აზრის დევნა და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის არაჯანსაღი გავლენების დემონსტრირება. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მოსამართლე წევრები, როგორც წესი, ყველა საკითხზე ერთგვაროვან პოზიციებს აფიქსირებდნენ და გადაწყვეტილებების მისაღებად მუდმივად ახერხებდნენ არამოსამართლე წევრების საჭირო რაოდენობის მხარდაჭერის მოპოვებას. განსხვავებული აზრი, როგორც წესი, მხოლოდ 2 არამოსამართლე წევრისა (ნ. ჯანეზაშვილი, ვ. მჭედლიშვილი) და ზოგიერთ შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან ისმოდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც ძველი, ისე განახლებული შემადგენლობის მიერ კრიტიკული აზრის მიუღებლობა გამოიხატებოდა როგორც საკუთარი კოლეგებისა და დამსწრე საზოგადოების მიმართ არაეთიკურ დამოკიდებულებაში, ისე განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეების მიმართ უთანასწორო მოპყრობაში. ამ მიმართულებით სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა 2017 წლის მეორე ნახევარში, საბჭოს შემადგენლობის განახლების შემდეგ.

2017 წლის განმავლობაში როგორც სხდომებზე,[13] ისე საჯარო გამოსვლებისას[14] საბჭოს წევრები ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობას" ხშირად მოიხსენიებდნენ ნეგატიურ კონტექსტში. „მოსამართლეთა ერთობა" 2013 წელს შეიქმნა და 50-ამდე მოქმედ მოსამართლეს აერთიანებდა. თავდაპირველად „ერთობის" წევრი მოსამართლეები არ ერიდებოდნენ კრიტიკული პოზიციების დაფიქსირებას სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით და ამჟამად არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ალტერნატიულ გაერთიანებად მოაიზრებოდნენ. მას შემდეგ რაც „ერთობის" წარმომადგენლებმა 2013 წელს საბჭოში მოსახვედრად საკმარისი ხმები ვერ მოიპოვეს, თანდათანობით დაიწყო სისტემაში განსხვავებული აზრის დევნა. „ერთობის" წევრ მოსამართლეებს თანამდებობებზე გადანიშვნაზე რამდენჯერმე უთხრეს უარი,[15] ზოგიერთი მათგანის მიმართ დისციპლინური დევნაც კი დაიწყო, [16] რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსამართლეთა კორპუსში კრიტიკული აზრის თანდათანობით გაქრობაში. 2017 წლის მაისში, მას შემდეგ რაც „ერთობამ" თავისი განცხადებით მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი გააკრიტიკა, [17] გაერთიანება 20-მა მოქმედმა მოსამართლემ დატოვა.[18] დღესდღეობით ასოციაციაში „მოსამართლეთა ერთობა" არცერთი მოქმედი მოსამართლე არ ირიცხება. არსებული

მართლმსაჯულებისთვის", ივლისი, 2017, https://goo.gl/NvjbV2;

13 მაგ., 2017 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე;

14 *„ამ ასოციაციის მიზნები იყო საკმაოდ შორსმიმავალი და არაჯანსაღი [...] ე. წ. არაკეთილსინდისიერი მოსამართლეებისგან სისტემის გაწმენდას ისახავდა ეს ასოციაცია მიზნად [...] მოსამართლეები რომლებიც თავის დროზე ამ ასოციაციაში გაწევრიანდნენ, ბევრი მათგანი იყო შეცდომაში შეყვანილი."* - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვირტიშვილის, განცხადებები ტელეკომპანია „იმედის" ეთერში, ქრონიკა, 11 ნოემბერი, 2017, (20:25-დან), https://goo.gl/x5xBrG;

15 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება მოსარჩელის, მ. ბ.-ს სარჩელთან დაკავშირებით, საქმე №3/4971-17, საქართველოს სახალხო დამცველი, https://goo.gl/A2vZc3;

16 *სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის ბოლო გადაწყვეტილებით დადგენილი პრაქტიკა საფრთხის შემცველია სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის,* კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", ოქტომბერი, 2016, https://goo.gl/hzuKo6;

17 *მოსამართლეთა ერთობა 20-მა მოქმედმა მოსამართლემ დატოვა,* „რუსთავი 2", ივნისი, 2017, https://goo.gl/N1YeJp;

18 2017 წლის მანძილზე ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობა" სულ 30-მა წევრმა დატოვა. აქედან ერთმა მათგანმა ასოციაციას წევრობის შეწყვეტის განცხადებით 2017 წლის 16 თებერვალს მიმართა, 20 წევრს ასოციაციის წევრობა 2017 წლის 31 მაისს მათ მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებების საფუძველზე შეუწყდა, ხოლო 9 წევრმა წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით ასოციაციას 2017 წლის 01 ივნისს მიმართა;

მდგომარეობით, მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა გაერთიანებულია „მოსამართლეთა ასოციაციაში", რომლის თავმჯდომარეც ლევან მურუსიძეა და რომლის გამგეობა საბჭოს წევრებითა და სხვა გავლენიანი მოსამართლეებითაა დაკომპლექტებული. [19]

იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიუღებლობით ხვდება არა მხოლოდ მოსამართლეთა კორპუსის, არამედ მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელების მხრიდან მომდინარე კრიტიკასაც. წინა საანგარიშო პერიოდში არამოსამართლე წევრის, ევა გოცირიძის, მიერ დაწყებული დისკუსია სასამართლოსთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით 2017 წელსაც გაგრძელდა. 26 აპრილს საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც თავმოყრილი იყო მედიის წარმომადგენლების მიერ გავრცელებული განცხადებები (ავტორების, განცხადებების გაკეთების დროისა თუ ადგილის მითითებით) მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის მისამართით. საბჭოს პოზიციით, ეს განცხადებები გაკეთდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლების უხეში დარღვევით და „წარმოადგენდა სასამართლოს, როგორც ინსტიტუტისადმი შეუწყნარებელ უპატივცემულობას და ინდივიდუალური რეპუტაციის უფლების არაერთგზის უხეშ შელახვას."[20] საბჭომ აღნიშნულ განცხადებებზე რეაგირების მიზნით ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სახალხო დამცველსა და საზოგადოებას მიმართა. საბჭომ ასევე გამოთქვა გამოხატვის თავისუფლების ფარგლების განსაზღვრის თემაზე სადისკუსიოდ ფართო კონფერენციის ორგანიზების სურვილი,[21] თუმცა მას შემდეგ, რაც საბჭოს მიერ გავრცელებულმა განცხადებამ საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა, ამგვარი ღონისძიების განხორციელებაზე საბჭომ საბოლოოდ უარი თქვა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ საბჭოს წევრებს უჭირთ ერთმანეთთან ეთიკურ, კონსტრუქციულ რეჟიმში დისკუსია. 2017 წლის განმავლობაში საზოგადოებას ხშირად უხდებოდა, საბჭოს სხდომებზე[22] მოესმინა ხმამაღალი საუბარი, პერსონალური ხასიათის არაეთიკური ბრალდებები და აგრესიული განცხადებები, რასაც ხშირად არაფერი ჰქონდა საერთო სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საგნობრივ, არგუმენტირებულ დისკუსიასთან. საბჭოში მოსამართლე წევრების მხრიდან განსხვავებული აზრის მიუღებლობა ყველაზე ნათლად სწორედ საკუთარი კოლეგებისა და სხდომებზე დამსწრე პირების მიმართ დამოკიდებულებაში ვლინდებოდა. საანგარიშო პერიოდში სხდომებზე ვითარება რამდენჯერმე ისე დაიძაბა, რომ საზოგადოება საბჭოს წევრებისა და მოსამართლეებისათვის სრულიად შეუფერებელი ქმედების შემსწრე გახდა. დაპირისპირების მიზეზი, როგორც წესი, არამოსამართლე წევრების, ვახტანგ მჭედლიშვილისა და მოგვიანებით ასევე ნაზი ჯანეზაშვილის, მიერ განსხვავებული აზრის გამოთქმა იყო. მონიტორინგმა ასევე გამოავლინა დაძაბული ურთიერთობა საბჭოს მოსამართლე წევრებსა და საბჭოს თავმჯდომარეს შორის, რაც ხშირად არაეთიკურ მიმართვებსა და არაკოლეგიალურ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს არამოსამართლე წევრების, ვახტანგ მჭედლიშვილისა და ნაზი ჯანეზაშვილის, მიერ სხდომებზე ინიციატივების დაყენებას ან კრიტიკული აზრის

19 „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის" (ს/ნ 202953321) გამგეობის წევრები არიან: ლევან მურუსიძე (თავმჯდომარე), ლევან თევზაძე, დავით მამისეიშვილი, ირაკლი შენგელია, დიმიტრი გვრიტიშვილი, თემურ გოგოხია, ვასილ როინიშვილი, მირანდა ერემაძე და გიორგი მიროტაძე - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, 01.08.2016;

20 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 26 აპრილის განცხადება, https://goo.gl/TxMtNb;

21 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 26 აპრილის სხდომა;

22 იხ., მაგ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 13 იანვრის, 31 მარტისა და 24 ივლისის სხდომები;

გამოთქმას ხშირად მოსდევდა მოსამართლე წევრებისა და ზოგიერთი არამოსამართლე წევრის ბრალდებები, რომ ისინი არ ზრუნავდნენ სასამართლოზე, ცდილობდნენ საბჭოს დისკრედიტაციას და თვითწარმოჩენით იყვნენ დაკავებულნი.[23] საბჭოს მოსამართლე წევრების გაღიზიანებას იწვევდა არამოსამართლე წევრების მიერ მედიაში გაკეთებული კრიტიკული კომენტარებიც. [24]

2017 წლის 20 ოქტომბერს არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა მედიასთან სპეციალური განცხადება გააკეთა და კოლეგები ზეწოლასა და შეურაცხყოფაში დაადანაშაულა.[25] ჯანეზაშვილის განცხადებით, სხდომის დაწყებამდე მას მოსამართლე წევრებმა სერგო მეთოფიშვილმა და რევაზ ნადარიამ არაეთიკურად მიმართეს და მოსამართლეობის რამდენიმე კანდიდატისათვის დაწერილი დაბალი შეფასებისათვის პასუხი მოსთხოვეს. ჯანეზაშვილის თქმით, სავარაუდოდ, არ იქნა დაცული შეფასებების კანონით დადგენილი კონფიდენციალურობა და მისი შეფასება საბჭოს წევრებისთვის გახდა ცნობილი.[26] ნაზი ჯანეზაშვილის განცხადება კიდევ ერთმა არამოსამართლე წევრმა, ვახტანგ მჭედლიშვილმა, დაადასტურა[27] და განმარტა, რომ ჯანეზაშვილის მიმართ არაკორექტული და არაეთიკური დამოკიდებულება საბჭოს წევრებს მანამდეც არაერთხელ გამოუვლენიათ.[28] განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა 6 ნოემბრის სხდომა,[29] რა დროსაც ნინო გვენეტაძემ საბჭოს მდივანი და წევრები ძალადობასა და შანტაჟში დაადანაშაულა. სხდომა რამდენიმე საათის განმავლობაში ხმამაღალი საუბრის და შეურაცხმყოფელი განცხადებების ფონზე მიმდინარეობდა.

სამწუხაროდ, საბჭოს წევრები არაეთიკურ დამოკიდებულებას ავლენდნენ სხდომებზე მოწვეული და დამსწრე პირების მიმართაც. 11 აპრილის სხდომაზე საბჭოს მოსამართლე წევრმა, შოთა გეწაძემ, ერთ-ერთი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელს ცალსახად არაეთიკურად მიმართა და გაჩუმება მოსთხოვა. ასეთივე არასერიოზული და არაეთიკური დამოკიდებულება გამოავლინა მოსამართლე წევრმა, სერგო მეთოფიშვილმა, 10 ივლისის სხდომაზე მოწვეული სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიმართაც.

---

23 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 31 მარტისა და 11 დეკემბრის სხდომები;

24 მაგ., 31 ივლისის სხდომაზე მოსამართლე წევრებმა ვახტანგ მჭედლიშვილს პასუხი მოსთხოვეს სხდომის ოქმის შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით მედიაში გაკეთებული კომენტარისათვის. ამავე სხდომაზე ნაზი ჯანეზაშვილმა განაცხადა, რომ მანამდე დახურულ ფორმატში მისთვისაც მოუთხოვიათ ახსნა-განმარტება მედიაში გაკეთებული განცხადებების გამო;

25 *ნაზი ჯანეზაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭროს წევრებს არაეთიკურ მიმართვებში ადანაშაულებს,* „ნეტგაზეთი“, ოქტომბერი, 2017, https://goo.gl/1yuTTS;

26 *იუსტიციის საბჭოს კრიტიკული წევრი აპარატის უთანასწორო დამიკიდებულებაზე საუბრობს,* „ნეტგაზეთი“, მარტი, 2018, https://goo.gl/iUACPn;

27 *იუსტიციის საბჭოს წევრი: ჯანეზაშვილის მიმართ არაკორექტული დამოკიდებულება არაერთხელ ყოფილა*,„IMEDI NEWS“, ოქტომბერი, 2017, https://goo.gl/VLKKvU;

28 30 ოქტომბერს ბორჯომში ჩატარებულ გასვლით სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარემ ნაზი ჯანეზაშვილს საბჭოს სახელით მოუბოდიშა და განაცხადა, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდებოდა. აღნიშნული განცხადება მომდევნო სხდომაზე მოსამართლე წევრების ნინო გვენეტაძესთან დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა;

29 აღნიშნული სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლე წევრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ 20 ოქტომბრის მოსამართლეთა დანიშვნის გადაწყვეტილებები თავმჯდომარეს იმ დრომდე არ ჰქონდა ხელმოწერილი. ამ განცხადებას ნინო გვენეტაძის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა - მან კოლეგები მოსამართლეთა კორპუსის წინაშე ძალის დემონსტრირებაში დაადანაშაულა. იმავე დღეს ნინო გვენეტაძეს პასუხი მოსთხოვეს 30 ოქტომბრის სხდომაზე საბჭოსთან შეუთანხმებლად ნაზი ჯანეზაშვილისთვის მობოდიშებისთვისაც. დაპირისპირება მოჰყვა ასევე დამოუკიდებელი ინსპექტორის კონკურსთან დაკავშირებული სხდომის თარიღის შეთანხმებასაც;

1.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხის შემცირება

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რამდენიმე პოზიტიური შემთხვევა, როდესაც საბჭოს სხდომებზე საბჭოსათვის საკუთარი კვლევების/ანგარიშების გასაცნობად მოწვეულნი იყვნენ გარეშე პირები,[30] მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში, 2017 წელი საბჭოს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით მკვეთრი გაურესებით ხასიათდებოდა.

ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნები[31] სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, საბჭოს მხრიდან დღემდე რეაგირების გარეშე რჩება ან ფასდება როგორც სასამართლოზე „თავდასხმა". არაერთხელ გაჟღერებულ კრიტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციებზე რეაგირების არქონის, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და სასამართლო სისტემაში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო 2017 წლის 30 მაისს, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის V ანგარიშის პრეზენტაცია პროტესტის ნიშნად ჩაშალეს. არასამთავრობო ორგანიზაციების განმარტებით, მონიტორინგის ანგარიშები მუდმივად აჩვენებს, რომ იუსტიციის საბჭო მის ხელთ არსებულ ძალაუფლებას იყენებს არა მართლმსაჯულების ინტერესების დასაცავად, არამედ მის საწინააღმდეგოდ. თუმცა ამ ყველაფერზე ეფექტიანი რეაგირება საბჭოსა და ხელისუფლების მხრიდან არ ჩანს. არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის მიზეზი გახდა იმავე პერიოდში განვითარებული მოვლენებიც (იუსტიციის საბჭოს ძველი შემადგენლობის წევრების უმრავლესობის მიერ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული თვითნებური გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართული იყო სისტემაზე სრული კონტროლის დასაწესებლად ერთი ჯგუფის მიერ, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნი კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ირგვლივ შექმნილი ვითარება), რამაც არასამთავრობო ორგანიზაციები დაარწმუნა, რომ მონიტორინგის ანგარიშის წარმოდგენა მორიგი აქტივობის სახით, შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ადეკვატური არ იქნებოდა.[32]

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის განმავლობაში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. პროცესის დასასრულს, 2017 წელს, ჯერ კიდევ საბჭოს ძველი შემადგენლობის პირობებში გამოიკვეთა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წევრების ორგანიზებული[33] გააქტიურება სამოქმედო გეგმის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც დოკუმენტში არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციით მოხვდა. კერძოდ, დოკუმენტის მიღებამდე რამდენიმე კვირით ადრე საბჭოს მოსამართლე

30 მაგ., 3 თებერვლის სხდომაზე საბჭოსთვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული კვლევის წარსადგენად მოწვეული იყო ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობის" თავმჯდომარე; 23 ოქტომბერს „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორიგნის ცენტრის" (EMC) წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო კვლევა - „როგორ მუშაობს საქმის განაწილების ახალი სისტემა საქართველოში";

31 *კოალიცია სასამართლოში განვითარებულ პროცესებს უარყოფითად აფასებს*, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", მაისი, 2017, https://goo.gl/u4ATjQ; 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შედეგებით, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა საქართველოში წინა წლის ინდექსთან შედარებით 24 ადგილით გაურესდა, World Economic Forum Global Competitiveness Index 2017-2018, https://goo.gl/B4VkiU;

32 *არასამთავრობო ორგანიზაციებმა სასამართლო სისტემაში განვითარებული მოვლენებისადმი პროტესტის ნიშნად ანგარიშის პრეზენტაციაზე უარი თქვეს*, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", მაისი, 2017, https://goo.gl/uNzewY;

33 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 11 აპრილის სხდომა, ასევე საბჭოში 19 აპრილს გამართული შეხვედრა, რა დროსაც ლევან მურუსიძემ და ლევან თევზაძემ მოსამართლეთა კორპუსის სახელით წარმოადგინეს შენიშვნები სამოქმედო გეგმის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით;

წევრებმა დააყენეს საკითხი, რომ ისინი არასდროს დასთანხმდებოდნენ სამოქმედო გეგმაში სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევითობის ჩაწერას და ამ უფლების საბჭოსათვის ჩამორთმევას, რის შედეგადაც იმ დროისათვის არსებული ფორმულირება შეიცვალა.

სასამართლო სისტემის 5-წლიანი სტრატეგია და მის შესასრულებლად შედგენილი 2-წლიანი სამოქმედო გეგმა საბჭოს ძველმა შემადგენლობამ 2017 წლის 29 მაისს დაამტკიცა. ამის შემდეგ განახლებული შემადგენლობის საბჭომ, მიუხედავად დონორი ორგანიზაციების რეკომენდაციისა და სამოქალაქო სექტორის მიმართვისა, სამოქმედო გეგმის შესასრულებლად შექმნილ სამუშაო ჯგუფებში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას მხარი არ დაუჭირა. საბჭოს გადაწყვეტილებით, სამოქალაქო სექტორისათვის მხოლოდ შეხვედრების დღის წესრიგი გამოქვეყნდება წინასწარ, შეხვედრებზე მონაწილეობისა და დასწრების შესაძლებლობა კი მათ არ აქვთ.[34] სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფის თხოვნით საბჭოს წერილობით მიმართა კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის", თუმცა საბჭოს გადაწყვეტილება არ შეცვლილა. [35]

მნიშვნელოვანია ასევე. აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავაც არ იქნა შესრულებული სხდომებზე დამსწრე პირების მიერ აზრის გამოთქმის წესის განსაზღვრის რეკომენდაცია. ამ მხრივ არსებული პრაქტიკა მკვეთრად გაურესდა საბჭოს მოქმედი შემადგენლობის პირობებში. საბჭოს სხდომებზე დამსწრე პირების მიერ განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმის თხოვნას საბჭო ნეგატიურად ხვდება და არ აკმაყოფილებს. 2017 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე მოსამართლე წევრების გაღიზიანება გამოიწვია საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებამ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" წარმომადგენლისათვის აზრის გამოთქმის შესაძლებლობის მიცემის შესახებ. საბჭოს წევრებმა თავმჯდომარეს მოუწოდეს, დამსწრე პირებისათვის მომავალში სიტყვა აღარ მიეცა.[36]

1.4. საბჭოს საქმიანობის ნორმატიული მოწესრიგების საჭიროება

არსებული კანონმდებლობით იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები. საბჭოს საქმიანობა არც სხვა საკანონმდებლო აქტითაა დარეგულირებული. მარეგულირებელი ნორმების არარსებობა საბჭოს საშუალებას აძლევს, მიიღოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები, რომლებზეც სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგმა აჩვენა, რომ არსებული ვითარება ამცირებს საბჭოს ანგარიშვალდებულებას და ზრდის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობებს .

კანონმდებლობით, მათ შორის „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით, საბჭოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების არასაკმარისი რეგულირება საბჭოს შესაძლებლობას აძლევს, თვითნებურად მიიღოს ნორმატიული შინაარსის დოკუმენტები. მათ შორის, კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქმეთა განაწილების, მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის, დამოუკიდებელი

34 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 16 ოქტომბრის სხდომა;

35 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის სხდომა;

36 მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა 2017 წლის 5 დეკემბრის სხდომაზეც, როდესაც საბჭო მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს განიხილავდა. სხდომაზე რეკომენდაციების წარდგენა მოხდა საბჭოს აპარატის თანამშრომლის მიერ, ხოლო თავად რეკომენდაციების ავტორი ორგანიზაციის წარმომადგენელს საბჭომ კენჭისყრის შედეგად აზრის გამოთქმის შესაძლებლობა არ მისცა;

ინსპექტორის შერჩევისა და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესი, აგრეთვე საბჭოს რეგლამენტის მიღებისა და მასში ცვლილებების განხორციელების პროცედურები.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო უკვე რამდენიმე წელია, აცხადებს, რომ საკუთარი რეგლამენტის არსებითად გადამუშავებას და დახვეწას გეგმავს. ხშირად სწორედ ერთიანი რეგულირების მოტივით ამბობს საბჭო უარს შეთავაზებულ ცალკეულ ცვლილებებზე და მიზეზად რეგლამენტზე სისტემური მუშაობის საჭიროებას ასახელებს. მიუხედავად ამისა, დღემდე საბჭოში განახლებული რეგლამენტის პროექტიც კი არ არსებობს. [37]

მსგავსი ვითარება მუდმივად ქმნის პრობლემებს საბჭოს საქმიანობაში. მათ შორის, რამდენჯერმე დაპირისპირების საგანი გახდა სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის წესი, ვინაიდან არც კანონმდებლობით და არც რეგლამენტით არაა რეგულირებული სასამართლო/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეების დანიშვნის კრიტერიუმები და პროცედურა. ბოლო პერიოდში საბჭომ თავმჯდომარეობის კანდიდატებთან გასაუბრების პრაქტიკა , თუმცა ამ პროცედურასაც საბჭოს ყველა წევრი არ ეთანხმება.[38] საბჭოს წევრებს შორის ხშირად დისკუსიის საგანი ხდება აგრეთვე თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების, კანდიდატის მიერ განცხადების შეტანისა და ნომინირების ვადები და პროცედურები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, დროულად მოხდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების მიღება, რომელთა მიზანი იქნება, გაიწეროს: სხდომების მომზადების, დღის წესრიგის შედგენისა და მასში საკითხების ჩასმის/დამატების საკითხები, საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურები, აცილებისა და თვითაცილების (ინტერესთა კონფლიქტი) საკითხები, მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმები. ასევე, უნდა განისაზღვროს საბჭოს ადმინისტრაციული ფუნქციების შინაარსი და ზუსტად დადგინდეს, რა შემთხვევებშია საბჭო ვალდებული, იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით.

რეკომენდაციები:

- **პარლამენტის მიერ საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევის წესი დაიხვეწოს იმგვარად, რომ მოხდეს პროცესში საპარლამენტო უმრავლესობის გარეთ დარჩენილი დეპუტატების მონაწილეობის სავალდებულობის უზრველყოფა, რაც გაზრის იმის შესაძლებლობას, რომ არჩეული კანდიდატები უფრო მეტად მისაღები იყვნენ ფართო საზოგადოებისთვის. პარლამენტის რეგლამენტით, არამოსამართლე წევრების არჩევის პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე, პროფესიული შერჩევის პრინციპზე დაფუძნებული. მოსამართლეთა კონფერენციამ შეიმუშავოს წესი, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრობის მოსამართლე კანდიდატები ვალდებულნი იქნებიან, კენჭისყრამდე კოლეგებს წარუდგინონ საკუთარი ხედვის დოკუმენტები და უპასუხონ მათ შეკითხვებს.**

- **საბჭოს მოსამართლე წევრებმა კოლეგებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობაში დაიცვან ეთიკის ნორმები. საბჭომ დაადგინოს ეთიკის ნორმების**

37 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 13 ნოემბრის სხდომა;

38 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის სხდომა, სადაც მოსამართლე წევრი სერგო მეთოფიშვილი აცხადებს, რომ ის თავმჯდომარეობის კანდიდატებთან გასაუბრების საჭიროებას ვერ ხედავს;

დარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი.

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს სასამართლო სისტემის ხუთწლიანი სტრატეგიის იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა. დარეგულირდეს საბჭოს სხდომებზე დამსწრე პირების მიერ აზრის გამოთქმის წესი.

- პარლამენტის მიერ დროულად მოხდეს საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების მიღება, რომელთა მიზანი, მათ შორის, იქნება, გაიწეროს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმები. ასევე, უნდა განისაზღვროს საბჭოს ადმინისტრაციული ფუნქციების შინაარსი და ზუსტად დადგინდეს, რა შემთხვევებშია საბჭო ვალდებული, იხელმძღვანელოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა და მენეჯმენტი

ძირითადი მინებები

- **დახურული რჩება საზოგადებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მათ შორის განსაკუთრებით პრობლემურია მოსამართლეობის კანდიდატების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მიერ გასაუბრების ეტაპის დახურვა, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირების ვინაობისა და ბიოგრაფიული მონაცემების დახურულობა.**

- **იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხდომებთან დაკავშირებულ ინფორმაციას კანონით დადგენილ ვადებში არ აქვეყნებს. საანგარიშო პერიოდში დღის წესრიგში მოცემული საკითხების ფორმულირება არ იყო საკმარისად ინფორმაციული. ხშირად ხდებოდა დღის წესრიგის ცვლილება. ასევე, რამდენჯერმე სხდომებზე მოხდა ისეთი საკითხების განხილვა, რომლებსაც დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა.**

- **არ არის მოწესრიგებული საბჭოს სხდომის მოსამზადებელი პროცედურები. საბჭომ არაერთხელ გადადო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ ის საბჭოს წევრების მხრიდან უკეთ შესწავლასა და მომზადებას საჭიროებდა. იყო შემთხვევები, როდესაც განხილვა იმ მიზეზით გადაიდო, რომ შესაბამისი მასალები საბჭოს ყველა წევრს დროულად არ მიეწოდა.**

- **საბჭო მრავალჯერადი გამოყენების, ნორმატიული შინაარსის გადაწყვეტილებებს კონსოლიდირებული სახით (საბოლოო რედაქციით) არ აქვეყნებს და არც საჯარო ინფორმაციის სახით გასცემს.**

- **საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამკვიდრდა პოზიტიური ტენდენცია სხდომის ვიდეო ოქმების ვებგვერდზე გამოქვეყნების სახით, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში სხდომის ოქმი არ გამოქვეყნებულა. 2017 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეფერხდა სხდომის ოქმის ჩაწერა, რის შედეგადაც სრული ჩანაწერი არ გამოქვეყნდებულა. პრობლემად რჩება საბჭოს სხდომების საჯაროდ (მედიის საშუალებით) გაშუქების საკითხი. მედიასაშუალებები, ძირითადად, სხდომის გახსნას იღებენ და არ ეძლევათ საშუალება, სრულად გადაიღონ სხდომის მიმდინარეობა.**

2.1. სხდომებთან დაკავშირებული ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხდომებთან დაკავშირებული ინფორმაციის წინასწარ და სრულყოფილად გამოქვეყნება მნიშვნელოვანია საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანი მონიტორინგისათვის. სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება გულისხმობს სხდომების თარიღის, დღის წესრიგისა და გადაწყვეტილებების პროექტების გამოქვეყნებას სხდომამდე გონივრული ვადით ადრე.

2017 წლის მარტში ძალაში შევიდა სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის" საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა საბჭოს ვალდებულება სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნების შესახებ. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ მუდმივად ხდებოდა კანონის აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა. 2017 წლის პირველ ნახევარში, როგორც წესი, სხდომის თარიღის შესახებ ინფორმაცია 6-7 დღით ადრე ქვეყნდებოდა, თუმცა დღის წესრიგი სხდომამდე მხოლოდ 2-4 დღით ადრე იყო ხელმისაწვდომი. საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარში სხდომის თარიღიც და დღის წესრიგიც, როგორც წესი, სხდომამდე 3-4 დღით ადრე ქვეყნდებოდა.



სურათი 1: 2017 წლის პირველ ნახევარში, როგორც წესი, სხდომის თარიღის შესახებ ინფორმაცია 6-7 დღით ადრე ქვეყნდებოდა, თუმცა დღის წესრიგი 2-4 დღით ადრე იყო ხელმისაწვდომი.

საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები ვერ დაესწრნენ საბჭოს სხდომას, რადგან სხდომის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გამოქვეყნებულა.[39] 5 შემთხვევაში ინფორმაცია გამოქვეყნდა სხდომამდე არაგონივრულად მცირე პერიოდით ადრე. მაგ., 19 ივნისის სხდომის შესახებ, რომელზეც სასამართლოს თავმჯდომარეები დანიშნეს, ინფორმაცია გამოქვეყნდა იმავე დღეს, ხოლო 20 ივნისის დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე კენჭისყრის შესახებ ინფორმაცია სხდომის წინა დღეს გამოქვეყნდა.[40] წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, 2017 წელსაც დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საბჭოს გადაწყვეტილებები დათარიღებულია იმ დღით, როდესაც სხდომის ჩატარება არ ყოფილა დაანონსებული.[41] ეს გვაძლევს მყარ საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ სხდომა ისე ჩატარდა, რომ მის შესახებ ინფორმაცია არც წინასწარ და არც შემდგომ არ გამოქვეყნებულა.

39 კერძოდ, 27 მარტს საბჭოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა იმავე დღის სხდომის ოქმი, სადაც განიხილეს და მიიღეს მოსამართლეთა კონკურსის ჩატარების წესში ცვლილებები, თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არ გამოქვეყნებულა;

40 სხდომის წინა დღით გამოქვეყნდა აგრეთვე ინფორმაცია 2017 წლის 20 ოქტომბერის, 11 მაისისა და 10 მარტის სხდომების შესახებ;

41 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 9 იანვრის, 13 მარტისა და 2 აგვისტოს გადაწყვეტილებები;

2017 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში დღის წესრიგი ვებგვერდზე სხდომის წინა დღეს აიტვირთა.[42] ასევე რამდენჯერმე, სხდომაზე განხილული იქნა საკითხები, რომლებიც დღის წესრიგით არ ყოფილა გათვალისწინებული.[43] მაგ., 24 ივლისის სხდომაზე ისე მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოში კოლეგიების გაერთიანება, თავმჯდომარეების გათავისუფლება და გაერთიანებული კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა, რომ ეს საკითხები დღის წესრიგით გათვალისწინებული არ ყოფილა.



სურათი 2: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 მარტის სხდომის შესახებ ინფორმაცია წინა დღეს გამოქვეყნდა, ხოლო დღის წესრიგი - წინა საღამოს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნდა საბჭოს გადაწყვეტილების პროექტი.[44] აღსანიშნავია, რომ 6 ნოემბრის და 13 ნოემბრის სხდომებზე, არამოსამართლე წევრმა, ნაზი ჯანეზაშვილმა, საბჭოს შესთავაზა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა გადაწყვეტილებების პროექტების წინასწარ გამოქვეყნებას და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების იმგვარად ფორმულირებას, რომ ისინი მეტად ინფორმაციული ყოფილიყო. ეს ინიციატივები თანხვედრაშია იმ რეკომენდაციებთან, რომლებზეც საბჭოს მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციები წლებია მიუთითებენ, თუმცა საბჭომ ამ წინადადებებს მხარი არ დაუჭირა.[45] საყურადღებოა, რომ საბჭოს მდივნის განმარტებით, ინიციატივაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მათ საბჭოზე საკითხების თავისუფლად გამოტანა სურდათ. გიორგი მიქაუტაძის განცხადებით, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც დღის წესრიგით წინასწარ იყო გათვალისწინებული კონკრეტული საკითხი, ამას საზოგადოების მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა ხოლმე. საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით ამგვარი მიდგომა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ნაკლებობაზე მიუთითებს.

42 მაგ., 2017 წლის 13 იანვრის, 3 თებერვლის, 17 თებერვლის, 10 მარტის, 21 აპრილის, 11 მაისის, 20 ივნისის, 10 ივლისის, 20 ოქტომბრის, 5 დეკემბრის სხდომების დღის წესრიგები;

43 მაგ., 2017 წლის 17 ივლისის, 24 ივლისისა და 16 ოქტომბრის სხდომებზე;

44 კერძოდ, 28 თებერვალს კომენტარებისა და მოსაზრებებისათვის აიტვირთა სასამართლო სისტემის სტრატეგიის 2017-2021 წლების სამუშაო ვერსია;

45 აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა პოზიტიური პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დღის წესრიგში ასევე მიეთითება მოკლე ინფორმაცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;

2.2. სხდომების მომზადება და მენეჯმენტი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მომზადების წესის ნორმატიული მოწესრიგება და საბჭოს საქმიანობის მენეჯმენტი საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა. 2017 წლის განმავლობაში საბჭომ არაერთხელ გადადო დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება იმ მოტივით, რომ ის საბჭოს წევრების მხრიდან უკეთ შესწავლასა და მომზადებას საჭიროებდა. იყო შემთხვევები, როდესაც სხდომა იმ მიზეზით გადაიდო, რომ შესაბამისი მასალები დროულად არ მიეწოდა საბჭოს ყველა წევრს. საბჭოს არამოსამართლე წევრებმა ვახტანგ მჭედლიშვილმა და ნაზი ჯანეზაშვილმა რამდენჯერმე განაცხადეს, რომ ორშაბათის სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაცია შიდა სისტემაში პარასკევს ან შაბათ-კვირის განმავლობაში იტვირთებოდა, რაც მათ არაგონივრულად მცირე დროს უტოვებდა საკითხის მოსამზადებლად.[46] ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც არამოსამართლე წევრებს სხდომამდე არ ჰქონდათ ინფორმაცია იმ კანდიდატების შესახებ, რომელთა სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის საკითხიც უნდა გადაეწყვიტა საბჭოს; არამოსამართლე წევრები ინფორმირებულნი არ იყვნენ იმ პროექტების დასაბუთების შესახებ, რომელთა გამოტანაც ხდებოდა საბჭოზე.[47]

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო იმის მიუხედავად, რომ საბჭოს ზოგიერთ წევრს არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია საკითხის შესახებ და არ იყო მზად გადაწყვეტილების მისაღებად. მაგ., ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 24 ივლისის სხდომაზე, როდესაც საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე ისე გაათავისუფლა თანამდებობიდან, რომ ეს საკითხი დღის წესრიგით არ ყოფილა გათვალისწინებული. ვახტანგ მჭედლიშვილის განცხადებით, განსახილველი საკითხის შესახებ ინფორმაცია მათ დროულად არ მიეწოდათ, რის გამოც მან განხილვის გადადგება მოითხოვა, მაგრამ მისი მოთხოვნა საბჭომ არ დააკმაყოფილა. [48]

ასევე, არაა დარეგულირებული სხდომების მომზადებისა და დღის წესრიგის შედგენის პროცედურები, რაც განსხვავებულ მიდგომებს წარმოშობს. მაგ., 3 ივლისის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ვასილ მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის საკითხი, საბჭოს არამოსამართლე წევრმა, ნაზი ჯანეზაშვილმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ ის დროებით მოვალეობის შემსრულებლად უნდა დანიშნულიყო. საბჭოს მდივანმა ჯანეზაშვილს აღნიშნული საკითხის კენჭისყრაზე დაყენებაზე უარი უთხრა იმ განმარტებით, რომ დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა თავმჯდომარის დანიშვნას მოვალეობის შემსრულებლად.[49] უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შემთხვევებში საბჭოს სხდომებზე არაერთხელ მომხდარა იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, რომლებსაც დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, ეს შემთხვევა საბჭოს კრიტიკულად განწყობილი წევრის მიმართ არაერთგვაროვან მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს. საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოხდა დღის წესრიგში

46 მაგ., 2017 წლის 6 მარტის სხდომაზე ერთ-ერთი საკითხის განხილვა ვახტანგ მჭედლიშვილის მოთხოვნით გადაიდო იმ მიზეზით, რომ ორშაბათს განსახილველი საკითხის შესახებ დოკუმენტები საბჭოს წევრებისათვის შაბათ-კვირას აიტვირთა. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა ასევე 24 მარტისა და 16 ოქტომბრის სხდომებზე;

47 მაგ. ,იხ. 3 ივლისის, 10 ივლისისა და 25 სექტემბრის სხდომები;

48 ასევე, 20 ოქტომბრის სხდომაზე საკითხის მოუმზადებლობის გამო გადაწყვეტილების მიღების გადადება მოითხოვეს ნინო გვენეტაძემ და ნაზი ჯანეზაშვილმა. მას შემდეგ, რაც მათი მოთხოვნა საბჭომ არ დააკმაყოფილა, მათ მოსამართლეობის კანდიდატების კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა 6 ნოემბრის სხდომაზეც, როდესაც საბჭოს თავმჯდომარე საკითხის გადადების ინიციატივით გამოვიდა, თუმცა უშედეგოდ;

49 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 3 ივლისის სხდომა;

საკითხების სხდომამდე რამდენიმე საათით ადრე დამატება.[50] საბჭოში სწორი მენეჯმენტის პრობლემაზე მიუთითებდა რამდენიმე საათის დაგვიანებით დაწყებული სხდომებიც. [51]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით[52] განსაზღვრულია მხოლოდ ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს ამზადებს და სხდომის მასალების საბჭოს წევრებისათვის დროულ მიწოდებას ორგანიზებას უწევს საბჭოს მდივანი. ამავე დებულების თანახმად, საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია, დარეგულირდეს სხდომისათვის მოსამზადებელი სამუშაოებისა და ვადების საკითხი. კერძოდ, განისაზღვროს, თუ რა ვადაში უნდა მიაწოდოს საბჭოს მდივანმა ყველა წევრს იმ განცხადებებისა და პროექტების დოკუმენტები, რომელთა განხილვაც უახლოეს სხდომაზეა დაგეგმილი. ასევე მნიშვნელოვანია, საბჭოს წევრებს დროულად მიეწოდოთ არა მხოლოდ უახლოეს სხდომაზე დაგეგმილი საკითხების შესაბამისი დოკუმენტები, არამედ საბჭოს სახელზე შემოსული და მის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი დოკუმენტის ასლი, რათა საბჭოს წევრებს შეეძლოთ საკუთარი შეხედულებისამებრ ამა თუ იმ საკითხის უახლოეს სხდომაზე განხილვის მოთხოვნის დაყენება. ასევე, საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი. დღესდღეობით, რეგლამენტი არ არეგულირებს, თუ ვინ ადგენს დღის წესრიგში დასაყენებელი საკითხების სიას, არ განსაზღვრავს საბჭოს წევრის უფლებას, გარკვეული ვადისა და პროცედურის დაცვით ან პირდაპირ საბჭოს სხდომაზე, მოითხოვოს დღის წესრიგიდან ამა თუ იმ საკითხის ამოღება ან დამატება.

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების ადმინისტრირებასა და მენეჯმენტზე ზედამხედველობის მიზნით სასამართლოს რეფორმის „მესამე ტალღის" ცვლილებებით შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.** ორგანული კანონით, დეპარტამენტს უმნიშვნელოვანესი ფუნქციები აკისრია, მათ შორის: საერთო სასამართლოებში საქმეთა ნაკადის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და სასამართლოების დატვირთულობის შესწავლა; საერთო სასამართლოებში მენეჯერული კულტურის დანერგვის, თავმჯდომარეთა მენეჯერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობა; იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის სასამართლოების ადმინისტრირების მნიშვნელოვან საკითხებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის" ცვლილებები ძალაში 2017 წლის დასაწყისში შევიდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარატამენტს ხელმძღვანელი ჯერაც არ ჰყავს.[53] საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დეპარტამენტში 7 საშტატო ერთეულია, რომელთაგან თანამდებობაზე მხოლოდ 1 უფროსი კონსულტანტი და 1 კონსულტანტია დანიშნული. სხვა თანამდებობები, მათ შორის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოზიცია, ვაკანტურია და ამ თანამდებობაზე არც მოვალეობის შესრულება აქვს დაკისრებული რომელიმე მოხელეს. საბჭოს ინფორმაციით, დეპარტამენტის თანამშრომლები ჩართულნი არიან საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის მართვაში, რაც გულისხმობს მოსამართლეების შესაბამის კოლეგიაში/პალატაში/ ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციისა და მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

50 მაგ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 31 მარტისა და 3 ივლისის სხდომების დღის წესრიგებში;

51 მაგ., იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 6 მარტისა და 20 ოქტომბრის სხდომები 4 საათის დაგვიანებით დაიწყო;

52 დამტკიცებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის N1/206-2007 გადაწყვეტილებით;

53 2018 წლის 22 მარტის მდგომარეობით;

[54] შესაბამისად, მენეჯმენტის დეპარტამენტი იმ ფუნქციების მხოლოდ მცირე ნაწილს ასრულებს, რაც კანონით ევალება. მნიშვნელოვანია, საბჭომ დროულად უზრუნველყოს მენეჯმენტის დეპარტამენტის სრულად დაკომპლექტება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თავად საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

2.3. სხდომების ოქმებისა და გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის კიდევ ერთი კომპონენტია საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, რითაც დაინტერესებულ პირებს საბჭოს საქმიანობის გაცნობის და შეფასების შესაძლებლობა ეძლევათ. საბჭო სხდომის ოქმების დოკუმენტირებას მხოლოდ აუდიო-ვიდეო ჩანაწერის სახით ახდენს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამკვიდრდა პოზიტიური ტენდენცია სხდომის ოქმების ვებგვერდზე გამოქვეყნების სახით, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში სხდომის ოქმი არ გამოქვეყნებულა.[55] ასევე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სხდომის ოქმის ჩაწერა შეფერხდა, რის შედეგადაც სრული ჩანაწერი არ გამოქვეყნებულა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის განმავლობაში სხდომების აუდიო-ვიდეო ჩაწერა 3 შემთხვევაში საბჭოს სერვერზე არსებული ტექნიკური შეფერხების გამო ხარვეზებით განხორციელდა. კერძოდ, არ არის ჩაწერილი 29 მაისის სხდომის 11:00 სთ-დან 13:00 სთ-მდე მონაკვეთი და 24 ივლისის სხდომის 14:45 სთ-დან 20:00 სთ-მდე პერიოდი. ასევე 6 ნოემბრის სხდომის ჩანაწერი ხარვეზიანია და მასში გამოსახულება ხმას არ ემთხვევა.[56] სხდომის ოქმის ჩაწერის შეფერხება განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს იმის გათვალისწინებით, რომ საბჭო ოქმებს წერილობით არ აწარმოებს და ვიდეო ოქმები სხდომის მიმდინარეობის დოკუმენტირების ერთადერთი საშუალებაა.

2017 წლის 31 ივლისს ვახტანგ მჭედლიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საბჭომ 24 ივლისის სხდომის ოქმი გაანადგურა იმის გამო, რომ აღნიშნული სხდომა კანონდარღვევით წარიმართა. მჭედლიშვილის განცხადებით ეს პირველად არ მომხდარა და მას გასულ წლებშიც ჰქონდა შემჩნეული, რომ ყოველთვის ის ოქმი იკარგებოდა, რომელშიც უხეში კანონდარღვევები ფიქსირდებოდა. საბჭომ მჭედლიშვილის ბრალდებების საპასუხო გაცხადება ვებგვერდზე გამოაქვეყნა, რომელშიც განმარტა, რომ სხდომის ოქმის წარმოება ტექნიკური მიზეზით შეფერხდა და არ მომხდარა მისი განადგურება.[57] იქიდან გამომდინარე, რომ საბჭო ოქმებს წერილობით არ აწარმოებს, მნიშვნელოვანია, ტექნიკურად უზრუნველყოფილი იყოს შეფერხებების თავიდან აცილება და ვიდეო ოქმების განადგურების რისკის დასაზღვევად პარალელურად ხდებოდეს წერილობითი ოქმების შედგენა.

ამასთან ერთად, მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ საბჭოს კანონით უნდა დაეკისროს ვებგვერდზე სხდომის ოქმების და გადაწყვეტილებების დადგენილ ვადებში განთავსების ვალდებულება, ვინაიდან საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ამ მასალებზე, საბჭომ კი წლების განმავლობაში ვერ უზრუნველყო პრაქტიკით მისი სრულყოფილად რეგულირება.

---

54 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის წერილი N 443/354-03-ო;

55 მაგ., 2017 წლის 26 აპრილის, 11 მაისის, 6 ნოემბრის, 20 ივნისის, 18 დეკემბრის სხდომის ოქმები;

56 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 13 მარტის წერილი N 576/412-03-ო; ამავე წერილში საბჭო განმარტავს, რომ აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაინერგა ე. წ. სასამართლო სხდომის ჩაწერის ანალოგიური სისტემა და 2018 წლიდან საბჭოს სხდომების ჩაწერა საამისოდ შექმნილი აუდიო სისტემის მეშვეობით მიმდინარეობს;

57 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 31 ივლისის განცხადება, https://goo.gl/FKpg59;

სასურველია ასევე, განხორციელდეს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება ვებგვერდის საშუალებით. ეს ხელს შეუწყობს საბჭოში გამჭვირვალე სისტემის დანერგვას შედარებით ნაკლები ძალისხმევისა და რესურსის გამოყენებით.

რაც შეეხება საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას, პრობლემად რჩება გადაწყვეტილებების სრულად და დროულად გამოქვეყნების საკითხი. როგორც წესი, საბჭო გადაწყვეტილებებს მიღებიდან 10-14 დღის შემდეგ აქვეყნებს. ამასთან, საბჭოს მიერ ყოველთვის არ ხდება გადაწყვეტილებების სრულად გამოქვეყნება. მაგ., საანგარიშო პერიოდში საბჭოს ვებგვერდზე არ იყო განთავსებული 29 მაისს დამტკიცებული სასამართლო სისტემის 2017-2018 წლების სტარტეგია და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა.[58] ხარვეზიანია ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის საძიებო სისტემა. კერძოდ, სირთულეს წარმოადგენს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა თუ საბჭოს ვებგვერდზე განთავსებული სხვა დოკუმენტების მოძიება საძიებო ველის მეშვეობით.

განსაკუთრებით პრობლემურია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული სახით (საბოლოო რედაქციით) არარსებობა. ნორმატიული შინაარსის მრავალჯერადი გამოყენების დოკუმენტების საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვის მიმართვაზე საბჭომ გვიპასუხა, რომ მას არ მოეპოვება საბჭოს რეგლამენტის, მოსამართლეთა კონკურსის ჩატარების წესისა და მსგავსი მრავალჯერადი გამოყენების დოკუმენტების საბოლოო რედაქცია. საბჭოს განცხადებით, მას გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია და „საკონტროლო მდგომარეობაში მოყვანა" არ ევალება.[59] **მსგავსი პასუხი ადასტურებს საბჭოს გამჭვირვალობის დაბალ ხარისხს და კიდევ უფრო ამცირებს ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების ნდობას.** იუსტიციის უმაღლესი საბჭო საჯარო ინფორმაციის სახით გასცემს მხოლოდ დოკუმენტების თავდაპირველ რედაქციას ყველა შემდგომი ცვლილებით. ასეთი ფორმით გადაწყვეტილების გამოქვეყნება და საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფლებს, ვინაიდან დაინტერესებულ პირს ნორმატიული შინაარსის გადაწყვეტილების გასაცნობად რამდენიმე წლის წინ მიღებული დოკუმენტისა და ცვლილებების ყველა თანმდევი გადაწყვეტილების გაცნობა უხდება, რაც შეუსაბამოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მნიშვნელოვანია, საბჭო მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვეყნებდეს კონსოლიდირებული (არსებული რედაქციის) ფორმითაც. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმირებისათვის, არამედ თავად საბჭოს გამართული ფუნქციონირებისათვისაც.

2.4. სხდომების გადაღება და გაშუქება

მონიტორინგის ჯგუფი მეექვსე წელია, მიუთითებს საბჭოს სხდომების საჯაროდ (მედიის საშუალებით) გაშუქების პრობლემაზე, თუმცა მის მოსაგვარებლად საბჭოს არც ერთ შემთხვევაში არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები. კოლეგიური ორგანოების სხდომების საჯაროობა, რაც კანონმდებლობით არის გარანტირებული, არ ადგენს რაიმე სახის შეზღუდვებს მასმედიის წარმომადგენლებისათვის. მათ, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, უფლება აქვთ, დაესწრონ სხდომებს და აუდიო-ვიდეო საშუალებით გადაიღონ/ჩაიწერონ სხდომის მიმდინარეობა. მიუხედავად ამისა, საბჭომ განსხვავებული წესი დაადგინა და, 2014 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მხოლოდ სხდომის *გახსნის* ფოტოგადაღებისა და ვიდეო-აუდიო ჩაწერის

58 2018 წლიდან ეს დოკუმენტები უკვე საბჭოს ვებგვერდზეა განთავსებული;

59 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 6 მარტის წერილი N 514/395-03-ო;

ნება დართო. საანგარიშო პერიოდში მედიასაშუალებები, ძირითადად, სხდომის გახსნას იღებდნენ და არ ეძლეოდათ საშუალება, სრულად გადაეღოთ სხდომის მიმდინარეობა.[60] მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, რეგლამენტით განისაზღვროს სხდომის შეუფერხებლად და სრულად გადაღების შესაძლებლობა, რითაც საბჭოს რეგლამენტი შესაბამისობაში მოვა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან.

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისაღებში განთავსებულია მონიტორი, რომლის მეშვეობითაც სხდომების ტრანსლირება ხორციელდება. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სხდომის ვიდეოტრანსლირება ვერ გაუთანაბრდება სხდომაზე მედიასაშუალების მიერ გადაღების წარმოების უფლებას. გარდა ამისა, საბჭოს სხდომის დარბაზში განთავსებული კამერით გაკეთებული ჩანაწერი (ოქმი) ვერ უზრუნველყოფს ისეთ აუდიო-ვიდეო ხარისხს, რომ დარბაზს გარეთ მყოფმა პირებმა სრულად აღიქვან დარბაზში მიმდინარე პროცესები და ისინი ჟურნალისტური მიზნებით გასავრცელებლად გამოიყენონ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა სხდომებზე რამდენჯერმე დააფიქსირეს პოზიცია, რომ გადაღების შეზღუდვა გამოწვეული იყო სხდომის დარბაზის მცირე ზომით და საბჭოს საქმიანობისათვის ხელის შეშლით. ამ შემთხვევაში საბჭოს აქვს შესაძლებლობა, შეიმუშაოს რეგულაცია, რომლის საფუძველზეც სხდომის გადაღების უფლება მხოლოდ ერთ კამერას ექნება, ხოლო შემდგომ გადაღებული მასალა სავალდებულოდ მიეწოდება სხვა მედიასაშუალებებს. მსგავსი რეგულაცია მოქმედებს სასამართლო სხდომების გაშუქებისას, რითაც უზრუნველყოფილია დარბაზში მიმდინარე პროცესის შეუფერხებლად გადაღება.

საბჭოს საქმიანობის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება არა მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების შიგნით, არამედ საზოგადოების სხვა ჯგუფების მხრიდანაც. ამდენად, გაუმართლებელია მედია საშუალებებისათვის სხდომების სრულად გადაღების შეზღუდვა. საბჭო ვალდებულია, საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და დაადგინოს მედიისთვის სხდომების შეუფერხებლად გადაღების უფლება.

2.5. საბჭოს წევრებისა და აპარატის ფინანსური გამჭვირვალობა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი ინდიკატორია საბჭოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ მონაცემების ღიაობა. საბჭოს ვებგვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება საბჭოს თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების (ჯამურად) კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, თუმცა ,პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არ ჩანს საბჭოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ მიღებული პრემიების, დანამატების ოდენობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის საბჭომ შესაძლებელია, დანამატები დაუწესოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრს. საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ/საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თავისი მოვალეობის შესრულებისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის

60 მაგ., 2017 წლის 24 მარტის სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჟურნალისტს სხდომაზე კამერის შეტანაზე უარი უთხრა;

გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში ეძლევა ანაზღაურება საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2017 წლის განმავლობაში საბჭოს არამოსამართლე წევრები ყოველთვიურად იღებდნენ 5000-ლარიან ანაზღაურებას, რასაც წელიწადში ოთხჯერ ემატებოდა 5000-ლარიანი პრემია. რაც შეეხება მოსამართლე წევრებს, ისინი, სამოსამართლო საქმიანობის შესრულებისათვის მიღებული ანაზღაურების გარდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან ყოველთვიურად იღებდნენ 700-ლარიან დანამატს.[61] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს მოსამართლე წევრები სარგებლობენ მნიშვნელოვანი შეღავათებით საქმეთა ელექტრონული განაწილებისას და, შესაბამისად, კოლეგა მოსამართლეებთან შედარებით გაცილებით ნაკლები რაოდენობის საქმეს განიხილავენ.[62]

	თანამდებობრივი სარგო	დანამატი	პრემია
მოსამართლე წევრები (ჯამურად)	_____	75 190	_____
არამოსამართლე წევრები (ჯამურად)	346 667	_____	115 000
აპარატი (ჯამურად)	1 156 697	_____	561 665
სულ საბჭოს წევრებისა და აპარატის მიერ მიღებული ანაზღაურება	2 255 219		

სურათი 3: 2017 წლის განმავლობაში საბჭოს წევრებისა და სხვა თანამშრომლების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ანაზღაურება (დარიცხული).

61 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის N1/62 გადაწყვეტილებით, საბჭოს მოსამართლე წევრების ყოველთვიური დანამატის ოდენობა 500 ლარით გაიზარდა და 1200 ლარი შეადგინა;

62 *„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისათვის საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელია 20%, ხოლო თუ საბჭოს წევრი ამავდროულად არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე - 10%”.* საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება N1/56 „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ” (2017 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით);

რაც შეეხება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებას, საბჭომ ეს ინფორმაცია მხოლოდ ჯამური სახით მოგვაწოდა პერსონალურ მონაცემებზე მითითებით. უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონი „თანამდებობის პირებად" მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს მიიჩნევს, რაც საბჭოს აპარატის სხვა მაღალი თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას და ფინანსურ გამჭვირვალობას ამცირებს. მნიშვნელოვანია, რომ კანონის მიზნებისათვის „თანამდებობის პირებად" ასევე მიიჩნეოდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტების უფროსები, დამოუკიდებელი ინსპექტორი და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2.6. საზოგადოებისთვის დახურული ინფორმაცია

წლებია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მისამართით ისმის კრიტიკა, რომ ის გამჭვირვალობის სათანადო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნაწილი კვლავ დახურული იყო:

- **2017 წელს 45-მა მოსამართლეობის კანდიდატმა დახურა გასაუბრების ეტაპი**

მოსამართლეობის კანდიდატის უფლება, დახურულ ფორმატში წარმართოს გასაუბრება დადგენილია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის N308 გადაწყვეტილებაში 2014 წელს შეტანილი ცვლილებით. მიუხედავად აღნიშნული წესისა, გასულ წლებში საბჭოს მიერ დამკვიდრებული იყო მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების ღია ფორმატში ჩატარება. დროთა განმავლობაში საბჭომ დაადგინა ახალი პრაქტიკა, როცა გასაუბრების დაწყებამდე თითოეულ კანდიდატს დაესმის კითხვა იმის თაობაზე, სურს თუ არა მას გასაუბრების საჯაროდ წარმართვა. წინა კონკურსების დროს კანდიდატები, როგორც წესი, თანხმობას აცხადებდნენ და, შესაბამისად, გასაუბრებაც საჯაროდ ტარდებოდა. 2016 წელს მოსამართლეობის ოთხმა კანდიდატმა მოითხოვა გასაუბრების დახურვა, 2017 წელს კი ასეთ კანდიდატთა რიცხვმა 45-ს მიაღწია, რაც მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესში გამჭვირვალობის ცალსახა გაუარესებაა.

იმ პირობებში, როდესაც საბჭოს, როგორც კოლეგიურ ორგანოს, და მის ინდივიდუალურ წევრებს არ აკისრიათ ვალდებულება, დაასაბუთონ კანდიდატთან დაკავშირებით მათ მიერ მიღებული დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება, კანდიდატებთან გასაუბრების პროცესის ღიაობა ერთადერთ შესაძლებლობას წარმოადგენს დაინტერესებული პირებისათვის, რომ არასრული ფორმით, მაგრამ მაინც, დააკვირდნენ შერჩევა-დანიშვნის პროცესს, გამოკვეთონ და გაასაჯაროონ ამ პროცესის დადებითი თუ ნაკლოვანი მხარეები და გარედან დაეხმარონ სისტემას გაჯანსაღებაში. აღნიშნული პროცესის დახურვით კი სრულიად შეუძლებელი ხდება გარეშე პირებისათვის იმის შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი.

იმ რეგულირებაზე მითითებით, რომლის მიხედვითაც, გასაუბრება ტარდება დახურულ სხდომაზე, საბჭომ მონიტორინგის ჯგუფს არ მიაწოდა კანდიდატების გასაუბრების ამსახველი ვიდეომასალა და სხდომის ოქმები, მათ შორის იმ კანდიდატებისა, რომლებიც კონკურსის შედეგად უვადოდ გამწესდნენ თანამდებობებზე. გაურკვეველია, რა გახდა ამის მიზეზი, ვინაიდან იმ უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებთან მიმართებით, რომლებმაც ითვლება, რომ წარმატებით გაიარეს გასაუბრების ეტაპი, არ არსებობს კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციის-გასაუბრების ჩანაწერის გაცემაზე უარის თქმის ლოგიკური საფუძველი.

- **დახურულია 2017 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირების ვინაობა და ბიოგრაფიული მონაცემები**

2017 წლის 20 ნოემბერს საბჭომ ისე აირჩია დამოუკიდებელი ინსპექტორი თანამდებობაზე, რომ საზოგადოებას არ ჰქონია ინფორმაცია, თუ რომელი კანდიდატები მონაწილეობდნენ კონკურსში და ვის უყრიდა კენჭს საბჭო. მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი და მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, კანონით გათვალისწინებული ფუნქციებიდან გამომდინარე, გაუთანაბრდნენ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ „თანამდებობის პირებს", იმისათვის რომ ამ თანამდებობაზე გამართულ კონკურსებში მონაწილე პირების ვინაობა და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები საჯარო იყოს.

- **დახურული სხდომები**

საანგარიშო პერიოდში კვლავ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საბჭოს სხდომა წინასწარი შეტყობინებისა და სათანადო დასაბუთების გარეშე დაიხურა საზოგადოებისთვის. კერძოდ, 11 აპრილს საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკონსულტაციო საქმიანობის ანგარიშზე მსჯელობისას, საბჭოს გადაწყვეტილებით, დამსწრე პირებისათვის სხდომა დაიხურა შესაბამისი განმარტებისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე.[63] მონიტორინგის ჯგუფი წინა ანგარიშებშიც მიუთითებდა, რომ საბჭოს მარეგულირებელი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სხდომის დახურვის პროცედურები, ეს კი პრაქტიკაში მუდმივად ქმნის პრობლემებს. საკითხი პირდაპირ ებმის დღის წესრიგის და სხდომის მომზადების სამუშაოების რეგულირებას. ამდენად, მიზანშეწონილია, ეს საკითხები მოწესრიგდეს საბჭოს საქმიანობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით ისე, რომ დაცული იყოს საჯაროობისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი, რაც უზრუნველყოფს სხდომაზე დასწრების მსურველთა ინტერესების დაცვას.

რეკომენდაციები:

- **საბჭომ, სწორი მენეჯმენტის შედეგად უზრუნველყოს სხდომებთან დაკავშირებული ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გამოქვეყნება. საბჭომ ასევე უნდა უზრუნველყოს დღის წესრიგის უფრო მეტად ინფორმაციული სახით გამოქვეყნება. კერძოდ, საბჭოს შიდა რეგულაციებით უნდა დადგინდეს სხდომაზე განსახილველად გამოტანილი დოკუმენტების პროექტების, კონცეფციებისა და სხვა სახის საჯარო დოკუმენტების წინასწარ გამოქვეყნების ვალდებულება.**

- **საბჭომ შიდა რეგულაციების შემუშავების გზით მოაწესრიგოს სხდომების მომზადების წესი და ვადები, ასევე გადაუდებელი აუცილებლობისას - სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის შემთხვევები. უნდა განისაზღვროს დღის წესრიგის შედგენის პროცედურები და მასზე პასუხისმგებელი პირი.**

- **საბჭომ დროულად უზრუნველყოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის სრულად დაკომპლექტება, მათ შორის დეპარტამენტის ხელმძღვანელის არჩევა.**

63 დღის წესრიგის თანახმად, საკითხი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკონსულტაციო საქმიანობის ანგარიში, სამომავლო გეგმები და პერსპექტივები";

- **საბჭოს კანონით დაეკისროს საკუთარ ვებგვერდზე სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების დადგენილ ვადებში განთავსების ვალდებულება. საბჭო მიღებულ გადაწყვეტილებებს უნდა აქვეყნებდეს კონსოლიდირებული (საბოლოო რედაქციის) ფორმით.**

- **საბჭოს რეგლამენტი შესაბამისობაში მოვიდეს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და მედიასაშუალებებისთვის განისაზღვროს საბჭოს სხდომების სრულად გადაღების შესაძლებლობა იმგვარად, რომ არ შეფერხდეს სხდომის მიმდინარეობა.**

- **კანონით განისაზღვროს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჯაროობა. მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდეს ღია რეჟიმში, ხოლო თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლეების გასაუბრების ჩანაწერები ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის. კანონით, „თანამდებობის პირებად" უნდა მიიჩნეოდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპარტამენტების უფროსები, დამოუკიდებელი ინსპექტორი და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ პირების შერჩევის პროცესის, ისევე როგორც ფინანსების, გამჭვირვალობა.**

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა

საანგარიშო პერიოდში, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, კანონმდებლობით კვლავ არ არის განსაზღვრული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. პრაქტიკაში საბჭოს გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემას ნათლად წარმოაჩენს სასამართლოსა და კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეების, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა დანიშვნასთან, მოსამართლეთა სპეციალიზაციის განსაზღვრასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

კვლავ პრობლემურია მოსამართლის დანიშვნის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა. მიუხედავად სასამართლო სისტემის რეფორმის ე. წ. მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებისა, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 15 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების[64] საფუძველზე მოსამართლეთა დანიშვნის წესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, პრაქტიკაში მოსამართლეთა დანიშვნა კვლავ დასაბუთების გარეშე და გაუმჭვირვალედ ხორციელდებოდა. აღნიშნული მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის მიმართულებით რეფორმის არაეფექტურობაზე მიუთითებს.

3.1. მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა

ძირითადი მიგნებები:

- **სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ ჩატარებულმა მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესმა აჩვენა, რომ გატარებულ რეფორმას არ აქვს შედეგი და მოსამართლეები თანამდებობაზე კვლავ არაობიექტური და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების საფუძველზე ინიშნებიან;**

- **მესამე ტალღით შემოღებულმა მოსამართლეთა უვადოდ გამწესების წესმა გააუარესა გამჭვირვალობის სტანდარტი და ეფექტური გასაჩივრების შესაძლებლობა. რეფორმამდე არსებული შეფასების წესი მოსამართლეთა მხოლოდ მცირე ნაწილზე ვრცელდება. ყოფილი და მოქმედი მოსამართლეები, მათ შორის ის მოსამართლეები, რომელთა მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კითხვები არსებობს, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ ინიშნებიან საგამონაკლისო წესით;**

- **მესამე ტალღის რეფორმით შემოღებული მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის წესი კვლავ შეიცავს რიგ ხარვეზებს. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული მოსამართლეთა შეფასების დასაბუთება; კანდიდატთან გასაუბრების პროცესი**

64 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3584518 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის **№3/1/659 გადაწყვეტილება - „**საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

არ არის ფორმალიზებული - არ არის დადგენილი გასაუბრების ხვედრითი წილი კანდიდატის საერთო შეფასებაში, რაც გასაუბრების ეტაპზე იძლევა თვითნებობის ფართო შესაძლებლობას; კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების ეტაპი მხოლოდ ფორმალურ დატვირთვას ატარებს;

- **საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს იუსტიციის სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსი არ გამოუცხადებია ასევე, არ ჩაუტარებია მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა. აღნიშნული უარყოფითად მოქმედებს მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესზე და ზღუდავს სასამართლო სისტემის ახალი პროფესიონალი და კეთილსინდისიერი მოსამართლეებით დაკომპლექტების შესაძლებლობას.**

- **იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არც ამ საანგარიშო პერიოდში მიუღია გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების ამ ვადის განმავლობაში შეფასების წესი.**

- **საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც კონკურსის ჩატარებიდან დროის მცირე შუალედში საბჭომ კონკურსით განსაზღვრული სპეციალიზაციით დანიშნულ არაერთ მოსამართლეს , მათივე თხოვნით, სპეციალიზაცია შეუცვალა. აღნიშნული მიუთითებს, რომ საბჭო შესაძლოა, არასათანადოდ იყენებდეს სპეციალიზაციის განსაზღვრის უფლებამოსილებას იმისათვის, რომ თანამდებობაზე წინასწარი შეთანხმებით კონკრეტული პირები დანიშნოს;**

- **საბჭოს მიერ დადგენილი მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის რეგულაციები განჭვრეტადობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.**

3.1.1. ცვლილებები მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის მარეგულირებელ კანონმდებლობაში

წინა საანგარიშო პერიოდებში მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის კრიტერიუმები და გადაწყვეტილების მიღების წესი არ იყო კანონით მოწესრიგებული. შესაბამისად, მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა გაუმჭვირვალედ და ობიექტური კრიტერიუმების გარეშე ხდებოდა.[65]

2017 წლის 8 მარტს ამოქმედდა სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად სწორედ მოსამართლეთა შერჩევა დანიშვნის მარეგულირებელ წესებში ცვლილებებს ითვალისწინებდა. კერძოდ:

ა)მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით, დადგინდა მოსამართლეთა შერჩევის ორი ძირითადი კრიტერიუმი (კომპეტენტურობა და კეთილსინდისიერება), კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატების შეფასებისთვის შემოღებულ იქნა ქულათა სისტემა;

ბ) დადგინდა კანდიდატების შეფასების პროცედურა;

65 საიას და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 2014, 2015, 2016 წლების ანგარიშები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის შესახებ, ხელმისაწვდომია: www.gyla.ge და www.transparency.ge;

გ)დადგინდა გადაწყვეტილების მიღებისა და გასაჩივრების წესი.

დ)კანდიდატის ობიექტური და სრულფასოვანი შეფასების მიზნით, კანონით დადგინდა მათი პროფესიული რეპუტაციასა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიების წესი.

ცვლილებების თანახმად, მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭი ეყრება მოსამართლეობის მხოლოდ იმ კანდიდატს, რომლის შემთხვევაშიც საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ის აკმაყოფილებს ან სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტი შეადგენს.[66]

მესამე ტალღის ცვლილებებით გათვალისწინებული წესის მთავარ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ შეფასების ქულათა სისტემა არ გამოიყენება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას; შეფასების შედეგად მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე, არ არის გათვალისწინებული მოსამართლის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება და გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. ამასთან, მოსამართლის შეფასების შედეგები კონფიდენციალურია.

მესამე ტალღით შემოღებული დანიშვნის ეს წესი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის წესისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და აუარესებს აქამდე არსებულ სტანდარტს. კერძოდ, გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ დანიშვნისათვის კანონი ითვალისწინებს: გადაწყვეტილების ღია კენჭისყრით მიღებას, დანიშვნაზე უარის დასაბუთებას, კანდიდატის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტების საჯაროობას. შესაბამისად, საქართველოში მოსამართლეთა დანიშვნის განსხვავებული წესები მოქმედებს. უფრო გამჭვირვალე პროცედურაა დადგენილი მოსამართლეთა მხოლოდ მცირე ჯგუფისათვის (იუსტიციის სკოლის მსმენელთათვის). მოსამართლეთა უმრავლესობა, კერძოდ ის მოსამართლეები, რომელთაც მოსამართლედ მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ და რომელთა მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებაში კითხვები არსებობს, სწორედ ამ გაუარესებული კანონმდებლობით ინიშნებიან.

მესამე ტალღის ცვლილებების ამოქმედებიდან დაახლოებით სამ თვეში, 2017 წლის 16 ივნისს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა მოსამართლედ უვადოდ დანიშვნის განსხვავებული წესი დაადგინა იმ პირთათვის, ვისაც მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს, ასევე იმათთვის, ვინც ამ კანონის ამოქმედებამდე უკვე დანიშნული იყო გამოსაცდელი ვადით და მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება აქვს.[67] აღნიშნული გაუარესებული წესის

---

66 „მესამე ტალღის“ რეფორმამდე მოსამართლის შეფასების აღნიშნული წესი მხოლოდ მოსამართლედ დანიშვნის შემდეგ სამწლიან გამოსაცდელ ვადაში მყოფი მოსამართლეების შეფასების პროცესზე ვრცელდებოდა;

67 მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებების განხორციელება განაპირობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა განდაწყვეტილებამ საქმეზე „მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”. ამ გადაწყვეტილებით, 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესდება პირი, რომელიც არის მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად განხორციელებულ ცვლილებაში აისახა,

საფუძველზე, მოსამართლის შერჩევა/დანიშვნის ზოგადი წესით შეფასებისა და დანიშვნის პროცესს აღარ დაექვემდებარა სასამართლო სისტემაში გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების უმრავლესობა. კერძოდ, სასამართლო სისტემაში 2017 წლის ივლისამდე გამოსაცდელი ვადით დანიშნული 209 მოსამართლიდან უვადოდ დანიშვნის ახალ წესს ექვემდებარება 147 მოსამართლე. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ახალი წესით უვადოდ დანიშნა 34 მოსამართლე. 2018 წლის მაისის მონაცემებით, აღნიშნული საგამონაკლისო წესით სასამართლო სისტემაში უვადოდ გამწესებულია 78 მოსამართლე.

რომ 2017 წლის 1 ივლისამდე თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული იმ მოსამართლის მიმართ, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში წყდება ამ კანონით დადგენილი შემოწმების პროცედურები და იგი კანონით განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე თანამდებობაზე უვადოდ გამწესდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით);

მოსამართლეთა შერჩევა - დანიშვნა

კონკურსით დანიშვნა

გამოსაცდელი ვადით დანიშვნა - იუსტიციის სკოლის მსმენელები, 18 თვეზე მეტი და სამ წელზე ნაკლები სამოსამართლო გამოცდილების მქონე პირები.

უვადოდ გამწესება - სამ წელზე მეტი გამოცდილების მქონე მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები.

კონკურსის ეტაპები:

- ✔ კონკურსის გამოცხადება
- ✔ განაცხადების ფორმალური გადარჩევა
- ✔ ინფორმაციის მოძიების ეტაპი
- ✔ გასაუბრება კანდიდატებთან
- ✔ კანდიდატების შეფასება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით

- ■ *კენჭისყრაზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებიც საბჭოს შეფასებით აკმაყოფილებენ კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ მაჩვენებლებს.*
- ■ *კენჭისყრაზე არდაშვების შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.*

- ✔ ფარული კენჭისყრა (წევრებს ⅔-ის უმრავლესობით)

- ■ *უარი საჩივრდება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში*

უვადოდ გამწესება

გამოსაცდელი ვადით დანიშნული იუსტიციის სკოლის მსმენელები, 18 თვეზე მეტი და სამ წელზე ნაკლები სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეები.

შეფასების პროცედურა:

- **შემფასებლის შერჩევა:** 6 შემფასებელი (საბჭოს წევრები);
- **შეფასება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით**: სულ 6 შეფასება 3 წლის განმავლობაში;

- *თუ 4 შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმების კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ მაჩვენებლებს საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს აქტს უვადოდ გამწესების საკითხის განხილვაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც საჩივრდება საბჭოში.*

- **გასაუბრება კანდიდატებთან**
- **ღია კენჭყისყრა** (წევრების ⅔-ის უმრავლესობით)

- *მოსამართლის უვადოდ გამწესებაზე უარი საჩივრება საკვალიფიკაციო პალატაში*

საგამონაკლისო წესი-2017 წლის 01 ივლისამდე თანამდებობაზე 3 წლით გამწესებული მოსამართლეები, რომელთაც მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვთ

შეფასების პროცედურა:

- **მოსამართლის განცხადებით წყდება შეფასების 3 წლიანი პროცედურები;**
- **ფორმალური შეფასება;**
- **ინფორმაციის მოპოვების ეტაპიდან გრძელდება იგივე პროცედურები, რაც კონკურსით დანიშვნისას.**

3.1.2. მოსამართლეთა დანიშვნა კონკურსის წესით

კონკურსის წესით დანიშვნას ექვემდებარება იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული, რომელიც მოსამართლის თანამდებობაზე პირველად ინიშნება სამწლიანი გამოსაცდელი ვადით. ასევე, ყოფილი ან მოქმედი მოსამართლე, რომელიც კონკურსის შედეგად თანამდებობაზე უვადოდ ინიშნება.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის კონკურსი ორჯერ გამოაცხადა - 2017 წლის 17 თებერვლისა და 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებებით.

2017 წლის 17 თებერვლის კონკურსი

2017 წლის 17 თებერვალს საბჭომ კონკურსი გამოაცხადა მოსამართლის 84 ვაკანტურ თანამდებობაზე[68]. საბჭოს გადაწყვეტილებით, საბუთების მიღების ვადად 20 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით პერიოდი განისაზღვრა, საბჭოს 6 მარტის გადაწყვეტილებით, საბუთების მიღების ვადა 19 მარტამდე (19 მარტის ჩათვლით) გაიზარდა.[69] იმის დასაბუთება, თუ რატომ გაგრძელდა საბუთების მიღების ვადა, არც გადაწყვეტილებაში და არც ვერ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში არ იყო მითითებული.[70]

მოსამართლეთა დანიშვნის მესამე ტალღის ცვლილებებით შემოღებული წესის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კონკურსში მონაწილე მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს და განხილვის დასრულებისთანავე ვებგვერდზე აქვეყნებს იმ მოსამართლეობის კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, რომელთა დოკუმენტებიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებულ კანდიდატთა სია 24 მარტის სხდომაზე განისაზღვრა, თუმცა კანდიდატთა სია 29 მარტამდე უცნობი იყო . ამასთან, კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები 31 მარტამდე არ გამოქვეყნებულა.[71] საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, 18 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით მოსამართლეობის კანდიდატებს საშუალება მიეცათ, ინფორმაციის მოძიების შედეგად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მათზე არსებულ ინფორმაციას გაცნობოდნენ[72].

21 აპრილს საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ გასაუბრებები 24 აპრილიდან დაიწყებოდა. გასაუბრების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ წინა დღეს ქვეყნდებოდა, რაც კიდევ უფრო ამცირებდა საჯაროობის ხარისხს.[73]

კონკურსი ისე მიმდინარეობდა, რომ კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საბჭოს კონკურსის მარეგულირებელი შიდა ნორმატიული აქტები „მესამე ტალღის" ცვლილებებთან

68 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/24-2017.pdf -გადაწყვეტილება სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ;

69 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/25-2017.pdf - საბჭოს გადაწყვეტილება 2017 წლის 17 თებერვლის N1/24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

70 http://hcoj.gov.ge/ge/informatsia-mosamartleta-shesarchevi-konkursshi-registratsiis-taobaze/2844 - ინფორმაცია მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში რეგისტრაციის შესახებ;

71 http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatebis-avtobiografiebi/2861 - მოსამართლეობის კანდიდატთა ავტობიოგრაფიები;

72 http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-shesarchevi-konkursis-monatsileta-sakuradghebod/2876 - მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საყურადღებოდ;

73 გასაუბრებები გაგრძელდა 24, 25, 26, 27 აპრილსა და 01, 02, 03 მაისს;

შესაბამისობაში არ ჰქონდა მოყვანილი[74]. საბჭოს სხდომაზე კონკურსის ნაჩქარევად წარმართვასა და თანმდევ ხარვეზებზე ყურადღება გაამახვილა პრეზიდენტის კვოტით დანიშნულმა წევრმა, რასაც აგრესიით შეხვდნენ საბჭოს დანარჩენი წევრები.

კონკურსის მე-2 ეტაპზე დაშვებული 108 კანდიდატიდან[75] 11 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, 9 უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მოქმედი და ყოფილი მოსამართლე, ხოლო 88 რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების ყოფილი და მოქმედი მოსამართლე იყო.

კითხვები გააჩინა კონკურსში უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების 9 მოქმედი და ყოფილი მოსამართლის მონაწილეობამ, რომელთა შორის იყვნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სასამართლო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი მიხეილ ჩინჩალაძე და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ოთარ სიჭინავა[76].

2016 წლის დეკემბრის მიწურულს „მესამე ტალღის" საკანონმდებლო პაკეტში ნაჩქარევად, უშუალოდ მესამე მოსმენის წინ, ყოველგვარი წინასწარი საჯარო კონსულტაციების გარეშე, შევიდა ცვლილებები, რომლებითაც დადგინდა, რომ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების სამწლიანი გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ წევრზე და ისინი უვადოდ გამოსაცდელი ვადის გავლის გარეშე ინიშნებიან. მანამდე, დიდი ხნის განმავლობაში, არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიუხედავად, ხელისუფლება არ თანხმდებოდა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის ინსტიტუტის გადახედვას, რამაც გაამყარა ეჭვები იმის თაობაზე, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები შესაძლოა ზემოთდასახელებული პირების სასარგებლოდ იქნა განხორციელებული. საბოლოოდ, კონკურსის შედეგად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ზემოხსენებული პირები უვადოდ დანიშნა მოსამართლის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის საბჭოსათვის უკვე ცნობილი იყო, რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, პირველი ივლისიდან მოსამართლეებისათვის, რომელთაც არანაკლებ სამწლიანი სამოსამართლოს გამოცდილება ქონდათ, უვადოდ გამწესების ახალი წესი უნდა ამოქმედებულიყო.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც კონკურსის გამოცხადებამდე იქნა მიღებული, საბჭოს წევრებში წარმოშვა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვადით უნდა მომხდარიყო მოსამართლეების გამწესება მიმდინარე

---

74 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/33-2017.pdf - საბჭომ 2017 წლის 27 მარტის N1/33 გადაწყვეტილებით ცვლილებები შეიტანა „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" გადაწყვეტილებაში, რომელშიც აისახა „მესამე ტალღის ცვლილებები. ამ დროს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი უკვე გამოცხადებული იყო და კანდიდატები მეორე ეტაპზე იყვნენ დაშვებული;

75 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/28-2017.pdf - გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ. სულ კონკურსში 112 კანდიდატი მონაწილეობდა - მეორე ეტაპზე 105 კანდიდატი გადავიდა, ხოლო სამს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან უმაღლესი განათლების აღიარების შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისათვის დამატებითი ვადა განესაზღვრა;

76 http://www.tabula.ge/ge/story/120047-otar-sichinava-saapelacio-sasamartlos-mosamartled-uvadod-dainishna - ოთარ სიჭინავა საზოგადოებისთვის ფართოდ ცნობილი იმით გახდა, რომ ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოში, გიგი უგულავასა და კაბელების საქმის განხილვის ნაცვლად თბილისში ძაღლებს ასეირნებდა;

კონკურსის ფარგლებში. საბჭოს ზოგიერთი წევრი ემხრობოდა კანდიდატების უვადოდ გამწესებას უშუალოდ კონსტიტუციიდან გამომდინარე, ხოლო დანარჩენი წევრები მხარს უჭერდნენ 1 ივლისამდე არსებული რეგულაციის მიხედვით ყველა მოსამართლის გამოსაცდელი ვადით დანიშვნას. ამასთან, გაურკვეველი იყო, თუ დანიშვნის რა წესი უნდა გავრცელებულიყო უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ და მოქმედ მოსამართლეებზე. ამდენად, კონკურსის მიმდინარეობისას კანდიდატებისთვის უცნობი იყო, თუ რა წესით მოხდებოდა მათი გამწესება, რაც კონკურსის პირობებს განუჭვრეტადს ხდიდა.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად კონკურსის შემდეგ ეტაპზე გადასული 108 კანდიდატიდან გასაუბრების ეტაპზე 104 კანდიდატი გამოცხადდა.

მოსამართლის თანამდებობაზე გასამწესებლად კენჭისყრის ეტაპზე 77 კანდიდატი გადავიდა, ხოლო 24-მა კანდიდატმა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა. 2017 წლის 11 მაისს კონკურსის ფარგლებში გაიმართა კენჭისყრა მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგად 77 კანდიდატიდან სხვადასხვა რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე გამწესდა 64 კანდიდატი, ხოლო 20 ადგილი ვაკანტური დარჩა. აქედან , კანდიდატების არარსებობის გამო, კონკურსი ვერ ჩატარდა 7 სასამართლოში, ხოლო 2 სასამართლოში არცერთი კანდიდატი არ იქნა დანიშნული.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წევრს, ვახტანგ მჭედლიშვილს. არამოსამართლე წევრი თვლიდა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი რეგულაციების შემუშავებამდე მიზანშეწონილი არ იქნებოდა, მონაწილეობა მიეღო მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის კენჭისყრაში.[77]

საბოლოოდ შემდეგი ვითარება მივიღეთ: დანიშნული კანდიდატებიდან 6 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელია, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილების არქონის გამო სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნენ; 4 უზენაესი სასამართლოს ყოფილი და მოქმედი მოსამართლე და 1 საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე უვადოდ გამწესდნენ სწორედ „მესამე ტალღის“ კანონპროექტში მესამე მოსმენაზე შეტანილი ცვლილებების შედეგად; 27 ყოფილი და 26 მოქმედი მოსამართლე ასევე გამოსაცდელი ვადით დაინიშნენ, ვინაიდან, საბოლოოდ, საბჭომ მხარი დაუჭირა პარლამენტის მიერ რეგულაციების მიღების შემდგომ მათ უვადოდ დანიშვნაზე მსჯელობას.[78]

2017 წლის 16 ოქტომბრის კონკურსი

2017 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი 52 ვაკანტურ თანამდებობაზე.[79] კანდიდატთა რეგისტრაციის ვადად 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი განისაზღვრა.[80] საბჭოს 20 ნოემბრის

77 http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-shesarchevi-konkursis-monatsileta-sakuradghebod/2876 - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვახტანგ მჭედლიშვილის მიმართვა;

78 http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-shesarchevi-konkursis-shedegebi/2913 - მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შედეგები;

79 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/259.pdf - გადაწყვეტილება სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასაამართლოებში არსებულ მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცადების შესახებ;

80 http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleta-shesarchev-konkursze-registratsia-2017-tslis-23-oqtombridan-itskeba/3073 - მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსზე რეგისტრაცია 2017 წლის 23 ოქტომბრიდან იწყება;

გადაწყვეტილებით, კონკურსის მე-2 ეტაპზე გადავიდა 81 კონკურსანტი.[81] კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვებულ კანდიდატთა სია 20 ნოემბრის სხდომაზე დადგინდა, თუმცა 25 ნოემბრამდე კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები არ გამოქვეყნებულა, რითაც დაირღვა კანონი, რომელიც ადგენს, რომ მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვის დასრულებისთანავე საბჭო ვებგვერდზე აქვეყნებს მოსამართლეობის კანდიდატთა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

კანდიდატებთან გასაუბრებები 27, 28, 29, 30 დეკემბერს გაიმართა. გასაუბრების თარიღის შესახებ ინფორმაცია წინა დღეს ქვეყნდებოდა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა საჯაროობის ხარისხს. საბჭოს წევრები დღის განმავლობაში 20 -ზე მეტ კანდიდატთან ატარებდნენ გასაუბრებას.

11 იანვარს გაიმართა კენჭისყრა. საბოლოოდ, კონკურსში მონაწილე 82 კანდიდატიდან გასაუბრების ეტაპზე ორმა კანდიდატმა, ხოლო კენჭისყრის ეტაპამდე სამმა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა. ერთი კანდიდატი გასაუბრებაზე არ გამოცხადდა. შესაბამისად, შეფასების ეტაპზე 76 კანდიდატი გადავიდა.

კენჭისყრის ეტაპზე ის კანდიდატები გადავიდნენ, რომლებმაც კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმები დააკმაყოფილეს. კერძოდ, 76 კანდიდატიდან, რომელთაც გასაუბრება გაიარეს, კენჭისყრის ეტაპზე ვერ გადავიდა 19 კონკურსანტი, რომელთაც, კანონის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების შესაძლებლობა ეზღუდებათ. ეს შემთხვევა ეჭვებს აჩენს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭომ არასასურველი კანდიდატები კენჭისყრამდე, შესაძლოა, გამიზნულად არ მიიყვანა. მსგავსი ეჭვები განსაკუთრებით გააძლიერა ერთმა შემთხვევამ, როდესაც გასაუბრებისას საბჭოს მოსამართლე წევრმა ერთ-ერთ კანდიდატს, რომელიც კენჭისყრის ეტაპზე ვერ გადავიდა, საბჭოს მისამართით სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული კრიტიკული კომენტარის გამო განმარტება მოსთხოვა.[82] ასევე გაუგებარი იყო, რომელი კრიტერიუმით შეფასებას განეკუთვნებოდა ერთ-ერთი კანდიდატისათვის დასმული შეკითხვა მისი მეუღლის მიერ საბჭოს წინააღმდეგ წარმოებული დავის შესახებ.[83]

კონკურსის შედეგად თანამდებობაზე გამწესებული 34 მოსამართლიდან 15 სკოლის მსმენელია, 1 ყოფილი მოსამართლეა, ხოლო 18 - მოქმედი მოსამართლე. ვაკანტური დარჩა 18 ადგილი.

3.1.3. სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ მოსამართლის უვადოდ გამწესების შეფასება

2017 წლის 11 აპრილს საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინფორმაცია იმ მოსამართლეებთან გასაუბრების ჩატარების შესახებ, რომელთაც სამწლიანი გამოსაცდელი ვადა ეწურებოდათ. საუბარია, 9 მოსამართლეზე, რომლებიც 2014 წლის 27 მაისს 3 წლის გამოსაცდელი ვადით

81 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/313.pdf - გადაწყვეტილება მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ. სულ კონკურსში 84 კანდიდატი მონაწილეობდა - მეორე ეტაპზე 81 კანდიდატი გადავიდა, ხოლოერთს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან უმაღლესი განათლების აღიარების შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენისთვისდამატებითი ვადა განესაზღვრა;

82 იხ. 2017 წლის 27 დეკემბრის გასაუბრება;

83 იხ. 2017 წლის 29 დეკემბრის გასაუბრება - როგორც გასაუბრებაზე გახდა ცნობილი, კონკურსანტის მეუღლე მონაწილეობდა იუსტიციის სკოლის მსმენელთა შესარჩევ კონკურსში. იგი მსმენლად არ ჩარიცხეს, რის გამოც ასაჩივრებდა საბჭოს გადაწყვეტილებას;

დაინიშნენ.[84]

საანგარიშო პერიოდში ცხრავე მოსამართლე საბჭომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, 2017 წლის აპრილში, სამოსამართლო საქმიანობის შეფასების შესახებ შემფასებლების მიერ შედგენილი დასკვნებისა და გასაუბრების პროცედურის საფუძველზე უვადოდ გაამწესა.[85]

2013 წლიდან დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეთა შეფასებას ისე ახორციელებს, რომ მიღებული არა აქვს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასების პროცესის დეტალურად მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტი. ეს გარემოება პროცესს გაუმჭვირვალეს ხდის და თვითნებობისა და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა. კანონმდებლობა არ ადგენს და, შესაბამისად, მოსამართლისათვის განჭვრეტადი არ არის, თუ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდება მისი შეფასება, რაც ხელყოფს მისი დამოუკიდებლობის პრინციპს.

2013 წლის ნოემბრიდან პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში ყველა მოსამართლე გამოსაცდელი ვადით ინიშნებოდა. ანგარიშის მომზადების დროს სასამართლო სისტემაში 30 უვადოდ დანიშნული მოსამართლეა, რომელმაც სამწლიანი შეფასების პერიოდი სრულად გაიარა.

გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების შეფასების წესი, რომელიც "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით არის დადგენილი, კანონის განჭვრეტადობის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. კანონმდებლობის ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ კანონის ნორმები საკმარისად დეტალური არ არის და რიგი პროცედურული საკითხი დამატებით მოწესრიგებას საჭიროებს, მათ შორის: ბუნდოვანია და დეტალურ მოწესრიგებას მოითხოვს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ჩატარებული სხდომების შეფასების წესი; არ არის დადგენილი შესაფასებელი მოსამართლის შესახებ ინფორმაციის მოძიების წესი; არ არის დადგენილი, თუ რა წყაროებსა და მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს მოსამართლის შეფასება; არ არის დადგენილი, თუ როგორ ხდება შემთხვევითობის პრინციპის უზრუნველყოფა შეფასების პროცესში (შესაფასებელი მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შესაფასებელი სხდომების შერჩევა) და სხვ.

3.1.4. გამოსაცდელი ვადის პირობებში მყოფი მოსამართლეებისათვის გამოსაცდელი ვადის შეწყვეტა და უვადოდ გადანიშვნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის გარდამავალი დებულების თანახმად, რომელიც მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ იქნა შემოღებული, დადგინდა სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული იმ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის წესი, რომელთაც მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება აქვთ.

საკონსტიტუციო სასამრთლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების შესასრულებლად საბჭომ რეგლამენტში შეიტანა ცვლილება, რომლითაც გაწერა 2017

84 http://hcoj.gov.ge/ge/informatsia/2870 - გასაუბრება გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლეებთან: შოთა ბიჭიასთან, ნინო ბუაჩიძესთან, სოფიო გაგნიძესთან, ლევან დარბაიძესთან, ლაშა თავართქილაძესთან, ნანა კალანდაძესთან, თეა ლეონიძესთან, მანანა მესხიშვილთან, მანუჩარ ცაცუასთან;

85 https://goo.gl/wDXzee - გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის შეფასებისა და უვადოდ გამწესების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ანგარიში, 2017 წელი, საია;

წლის 1 ივლისამდე თანამდებობაზე სამი წლის ვადით დანიშნული სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილების მქონე მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ გამწესების პროცედურა. ამ პროცედურის დაწყების საფუძველია მოსამართლის განცხადება. საბჭო უფლებამოსილია, განსაზღვროს მათი განხილვის პრიორიტეტულობა მოსამართლის საქმიანობის შეფასების პერიოდის დაწყების თარიღის გათვალისწინებით, ასევე მოსამართლეთა უვადოდ გადანიშვნისთვის კანონმდებლობით და საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილია ინფორმაციის მოძიების, საქმეთა შესწავლისა და ქულებით შეფასების სისტემა. აღნიშნული პროცედურები გაწერილია დროში, თუმცა საბჭოს ვებგვერდზე არ ხდება პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ღიად განთავსება. შესაბამისად, დაინტერესებული პირებისათვის უცნობია მოსამართლეთა განცხადებების შემოსვლის თარიღი, ცნობები ინფორმაციის მოძიებისა და საქმეთა შესწავლის ეტაპების შესახებ. ამ ტიპის დანიშვნებისას საბჭოს ვებგვერდზე მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია განთავსდება: რამდენმა მოსამართლემ მიმართა საბჭოს და მათთან გასაუბრების თარიღები. მოსამართლეების შეფასება ამ შემთხვევაშიც კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით ხდება. თუმცა, ახალი რეგულაციით, უვადოდ გამწესებისას დადგენილი სტანდარტი გაუარესებულია, ვინაიდან ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება უვადოდ დანიშვნის შესახებ ფარული კენჭისყრით მიიღება, რაც გადაწყვეტილების დასაბუთებას და გასაჩივრების ეფექტურ შესაძლებლობას გამორიცხავს.

2017 წლის ოქტომბერში საბჭომ განიხილა გამოსაცდელი ვადის პირობებში მყოფი 38 მოსამართლის განცხადება, რომლებიც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის გარდამავალი დებულების 79[4] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, კანონით დადგენილი შეფასების პროცედურის შეწყვეტას და უვადოდ გადანიშვნას ითხოვდნენ.

9, 10 და 11 ოქტომბერს გაიმართა გასაუბრებები. 20 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაიმართა კენჭისყრა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარე ითხოვდა საკითხის გადადებას იმ არგუმენტით, რომ ბუნდოვანი იყო, თუ რა რეგულაციებს დაექვემდებარებოდნენ ის მოსამართლეები, რომლებსაც შესაძლებელი იყო, უვადოდ გამწესებაზე უარი მიეღოთ. გადადებას ეთანხმებოდნენ არამოსამრთლე წევრები: ვახტანგ მჭედლიშვილი და ნაზი ჯანეზაშვილი, თუმცა თავმჯდომარის წინადადება უმრავლესობის მიერ საბოლოოდ არ იქნა მხარდაჭერილი. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარეს და ორ არამოსამართლე წევრს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ხმათა უმრავლესობით საბჭომ ფარული კენჭისყრით 38 კანდიდატიდან 34 მოსამართლე დანიშნა თანამდებობაზე უვადოდ.[86]

მოსამართლეთა უვადოდ გამწესების შემდეგ ერთ-ერთ სხდომაზე საბჭოს წევრმა დიმიტრი გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარე ხელს არ აწერდა მათი უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილებებს.[87] საკითხზე მსჯელობა ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობდა. ნინო გვენეტაძე აცხადებდა, რომ საზოგადოებას წერილობით აცნობებდა, თუ რატომ არ აწერდა ხელს გადაწყვეტილებებს მოსამართლეთა უვადოდ გამწესების თაობაზე, თუმცა მოგვიანებით, გადაწყვეტილების ხელმოწერისას, საბჭოს თავმჯდომარეს დაყოვნების მიზეზებზე დამატებით აღარ უსაუბრია.

86 http://hcoj.gov.ge/ge/34-mosamartle-tanamdebobaze-uvadod-gamtsesda/3075 - 34 მოსაამრთლე უვადოდ გამწესდა;

87 2017 წლის 6 ნოემბრის სხდომის ოქმი;

3.1.5. მოსამართლეების დანიშვნის მიზნით ჩატარებული გასაუბრებების პროცესის შეფასება

მოსამართლეებთან 2017 წლის ოქტომბერს შემდგარი გასაუბრების ეტაპზე დაკვირვების შედეგად რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა:

გასაუბრებისას მოსამართლეებს არათანაბარი სირთულის შეკითხვებს უსვამდნენ, შეინიშნებოდა ფავორიტიზმი ზოგიერთი კანდიდატის მიმართ. საბჭო იმ კანდიდატებს, რომლებიც იმავდროულად სასამართლოს თავმჯდომარეებიც არიან, პროფესიულ შეკითხვებს, ფაქტობრივად, არ უსვამდა, მაშინ, როდესაც სხვა კანდიდატებს, ძირითადად, ამ სახის შეკითხვებზე უწევდათ პასუხის გაცემა. სასამართლოს თავმჯდომარეებს, უმთავრესად, მენეჯერულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით უხდებოდათ საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ მათი არა თავმჯდომარედ, არამედ მოსამართლედ უვადოდ გამწესების საკითხი ფასდებოდა.

მაგალითად, კანდიდატს, რომელიც იმავდროულად თავად არის საბჭოს წევრი და ერთ-ერთი სასამართლოს თავმჯდომარე, ერთადერთი პროფესიული შეკითხვით მიმართა საბჭოს პრეზიდენტის კვოტით დანიშნულმა წევრმა. შეკითხვა შეეხებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში აბსოლუტური უფლებების დასახელებას. ვახტანგ მჭედლიშვილის შეკითხვამ საბჭოს წევრების დიდი ნაწილის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. საბჭოს ზოგიერთი წევრი აქტიურად ცდილობდა, კანდიდატს დახმარებოდა, თუმცა მან საბოლოოდ მარტივ პროფესიულ შეკითხვას მცდარი პასუხი გასცა.[88]

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მინიმალური ცოდნა ვერ გამოავლინა იმ კანდიდატმა, რომელიც იმავდროულად საბჭოს წევრიცაა და, შესაბამისად, ევალება მოსამართლეთა დანიშვნისას თავად შეაფასოს სხვა მოსამართლეების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე.

გასაუბრების პროცესში არაერთხელ დაფიქსირდა **მიმანიშნებელი შეკითხვები**, რა დროსაც კანდიდატისათვის მარტივად ამოსაცნობი იყო, თუ რა იქნებოდა საბჭოს წევრისათვის სასურველი პასუხი. ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც **საბჭოს წევრები კანდიდატის მიმართ წინასწარ აფიქსირებდნენ განწყობებს**.

მაგალითად: საბჭოს წევრების ნაწილმა ცალსახად დადებითი დამოკიდებულება გამოხატა მოსამართლის მიმართ, რომელმაც რამდენიმე კვირით ადრე საქალაქო სასამართლოში პატივისა და ღირსების შელახვის საქმეზე კერძო პირის წინააღმდეგ დავა მოიგო. საბჭოს ზოგიერთმა წევრმა მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა როგორც მნიშვნელოვანი და პრეცედენტული. მოცემულ შემთხვევაში საბჭოს წევრების მხრიდან გადაწყვეტილების წინასწარ შეფასება პრობლემურია, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული და მიმდინარე დავის მიმართ განწყობების დაფიქსირება სასამართლოზე გავლენის რისკებს შეიცავს.

საბჭოს წევრების არაეთიკური დამოკიდებულება კოლეგების მიმართ. გასაუბრების პროცესში საბჭოს წევრების უმრავლესობა არ მალავდა აშკარა უკმაყოფილებას

88 2017 წლის 10 ოქტომბრის გასაუბრებს სხდომის ოქმი.

იმ შეკითხვების მიმართ, რომელსაც საბჭოს ორი არამოსამართლე წევრი (ვახტანგ მჭედლიშვილი, ნაზი ჯანეზაშვილი) უსვამდა კანდიდატებს. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა როგორც ცინიკურ დამოკიდებულებას, ისე ხმამაღალ შელაპარაკებებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს თავმჯდომარე ამგვარ შემთხვევებში ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა სასურველი შეკითხვის დასმის საშუალებას, ზოგიერთი წევრის არაკოლეგიალური და ხშირ შემთხვევაში არაეთიკური დამოკიდებულება აღნიშნული ორგანოსადმი სანდოობის ზრდის პერსპექტივას აზიანებს და ხელს უშლის საბჭოს ეფექტურ საქმიანობას.

ამდენად, გასაუბრების პროცესზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საბჭო მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას იმგვარად ვერ აწარმოებს, რომ გამორიცული იყოს აღნიშნულ პროცესში მიკერძოების ეჭვები და უზრუნველყოფილი იყოს მოსამართლეთა კეთილსინდისიერებისა და კვალიფიკაციის მიხედვით ობიექტურად შეფასების შესაძლებლობა.

16 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის მიმდინარეობისას მოსამართლეებთან გასაუბრებების დროს არსებითად იმავე სახის ხარვეზები გამოიკვეთა, რაც გასულ წლებში. კერძოდ: გასაუბრებები არ იყო სტრუქტურირებული; ხშირად კანდიდატებს არსებითად განსხვავებული მნიშვნელობის კითხვებს უსვამდნენ; ზოგიერთი კანდიდატისათვის საერთოდ არ დაუსვამთ პროფესიული კომპეტენციის შესამოწმებელი კითხვები; აქტუალური იყო კითხვები სასამართლო კორპუსის მიმართ გამოთქმულ კრიტიკაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყეტილებაზე მოსამართლის სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გაუქმებასთან დაკავშირებით.[89] რიგ შემთხვევაში, გაურკვეველი დარჩა, მოსამართლეთა შერჩევის წესის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან რომელი კრიტერიუმით შეფასებას ემსახურებოდა საბჭოს წევრის მხრიდან დასმული ესა თუ ის კითხვა. ზოგიერთ კანდიდატთან გასაუბრება წარიმართა მხოლოდ კონკრეტული გახმაურებული საქმეების ირგვლივ, მაშინ, როცა სხვა ასევე გახმაურებული საქმის განმხილველი მოსამართლეებისათვის ამგვარი კითხვები საერთოდ არ დაუსვამთ. ამგვარი არათანაბარი მიდგომა კანდიდატებისადმისაბჭოს არაობიექტურობაზე შეიძლება მიუთითებდეს.

16 ოქტომბრის კონკურსის მიმდინარეობისას ღია სხდომის პირობებში კანდიდატებთან ჩატარებული გასაუბრების ეტაპზე დაკვირვებამ აჩვენა , რომ წინა კონკურსებთან შედარებით შეკითხვების ხარისხი გაუმჯობესდა. კანდიდატებს, ძირითადად, თანაბარი სირთულის შეკითხვებს უსვამდნენ. შეკითხვების უმრავლესობა პროფესიული ცოდნის შეფასებას ემსახურებოდა. ამასთან კანდიდატებს საკუთარი გამოცდილებისა და ღირებულებების წარმოჩენის შესაძლებლობაც ჰქონდათ.

მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კანდიდატების დიდი ნაწილის კვალიფიკაციის დონე მოსამართლის მაღალ თანამდებობასთან შეუსაბამო იყო. გასაუბრების ეტაპზე გამოვლინდა ყოფილი და მოქმედი მოსამართლეების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცენდენტული სამართლის როგორც ცოდნის, ისე მისი გამოყენების პრობლემა. ამ მიმართულებით უმეტეს შემთხვევაში არადამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ სკოლაში არასათანადო ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებებისა და ადამიანის უფლებათა

89 იხ. 2017 წლის 26 აპრილის გასაუბრებები;

ევროპული სასაამართლოს პრეცენდენტული სამართლის სწავლებას. იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილის კვალიფიკაციის არადამაკმაყოფილებელი დონე იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ცალსახად ნეგატიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ იმ კანდიდატებმა, რომელთან დაკავშირებითაც ნეპოტიზმის შესაძლო რისკები და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა, გასაუბრების დახურულ ფორმატში ჩატარება მოითხოვეს. მათ შორის დახურული გასაუბრების შედეგად თანამდებობაზე დაინიშნენ საბჭოს მოსამართლე წევრები: ლევან თევზაძე, სერგო მეთოფიშვილი, ვასილ მშვენიერაძე, რევაზ ნადარაია; უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძე; საბჭოს მოსამართლე წევრის ნათესავი თემურ გოგოხია და საბჭოს აპარატის თანამშრომელი თინა ვაშაყმაძე. გასაუბრების დახურულ სხდომაზე წარმართვა მოითხოვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მეუღლემ, მაია კვირიკაშვილმა. უარყოფითად უნდა შეფასდეს მაღალი საჯარო ინტერესის მიუხედავად კონკურსანტების მიერ გასაუბრების ეტაპის დახურვა. მოცემულ კანდიდატებთან მიმართებით, პროცესის ღიაობა შესაძლებელს გახდიდა, გაქარწყლებულიყო კონკურსის ობიექტურად ჩატარებასთან დაკავშირებით არსებული კითხვები და ხელს შეუწყობდა პროცესისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ამასთან, გასაუბრების დახურულად ჩატარების მოთხოვნა იმ მოსამართლეების მხრიდან, რომელთაც სამოსამართლო საქმიანობის ფარგლებში ევალებათ საჯაროობის პრინციპის დაცვა, შესაძლოა, ეჭვქვეშ აყენებდეს დადგენილ კრიტერიუმებთან კანდიდატის შესაბამისობას.

3.2. მსმენელთა მიღება იუსტიციის სკოლაში

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, სკოლაში მისაღები კონკურსი, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ - მაისსა და ოქტომბერში - უნდა ჩატარდეს. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მისაღები კონკურსი არ ჩატარებულა. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მიღების შეფერხება უარყოფით გავლენას ახდენს მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის პროცესზე. კერძოდ, მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსზე ერთი და იგივე კანდიდატები რეგისტრირდებიან, რაც აფერხებს კონკურსში ახალი კანდიდატების გამოჩენას. საბჭოს მიერ ჩატარებულ მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსზე ყოველთვის შეუვსებელი რჩება ვაკანტური ადგილები. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად წარმოჩინდება იმ ფონზე, რომ სასამართლოში არსებობს გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემა, კონკურსების შედეგად დარჩენილი ვაკანსიების რაოდენობა კი მაღალია. **2017 წლის მაისში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში დარჩა 20, ხოლო ოქტომბერში გამოცხადებული კონკურსის შემდეგ - 18 ვაკანსია. კანდიდატების არარსებობის გამო კონკურსი ვერ ჩატარდა 7 სასამართლოში.**

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის წინაპირობა საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარებაა. 2016 და 2017 წლებში, საბჭოს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა არ ჩაუტარებია. დღესდღეობით საკვალიფიკაციო გამოცდას იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს და ატარებს. საბჭო უზრუნველყოფს ასევე იუსტიციის სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვას. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვისათვის დადგენილი კრიტერიუმები გამჭვირვალობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს და საბჭოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების ფართო არეალს უტოვებს. ამასთანავე, არ არის განსაზღვრული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრის შერჩევის კრიტერიუმები. ზემოაღნიშნული საბჭოს ფართო უფლებამოსილებას აძლევს, არასათანადო გავლენა მოახდინოს სკოლაში მსმენელთა მიღების პროცესზე. საანგარიშო პერიოდის დასაწყისში საბჭოს მდივნის, ლევან

მურუსიძის, ინიციატივით წარმოდგენილი იყო საკითხი მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე. საბჭოს მდივანმა ისაუბრა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისა და სასამართლო სისტემაში ახალი კადრების შეყვანის აუცილებლობაზე.[90]

საბჭოს მომდევნო სხდომებზე ამ საკითხზე დისკუსია გაიმართა, რომლის დროსაც გამოითქვა აზრი, რომ გამოცდის ჩატარების არსებული ელექტრონული სისტემა მოძველებული იყო, ფორმატი გამოწვევებს ვერ პასუხობდა და ანალიტიკური აზროვნების შეფასება ვერ ხდებოდა. პრობლემურ საკითხად დასახელდა ტესტების შედგენის პროცესი, ვინაიდან ვერ ხდებოდა შედგენილი ტესტების გადამოწმება და წინა გამოცდაზე საკმაოდ ბევრი პრეტენზია იქნა დაკმაყოფილებული. საკითხზე მსჯელობისას საბჭოს წევრებმა დააფიქსირეს მზაობა, ამ საკითხზე დონორ ორგანიზაციებთან ერთად ემუშავათ.[91] თუმცა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საკითხი საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი არ ყოფილა.

3.3. მოსამართლეთა სპეციალიზაციის პრობლემა, მივლინება, მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანა

საანგარიშო პერიოდში მოქმედ მოსამართლეთა დიდი ნაწილი მოსამართლეთა შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობდა. ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეებს უფლებამოსილების ამოწურვამდე 2 ან 3 წელი ჰქონდათ დარჩენილი და მაინც იღებდნენ კონკურსში მონაწილეობას, იმ მოტივით, რომ ვინაიდან მათ წინ გამოსაცდელი ვადა ჰქონდათ, ერჩიათ, დროულად გაევლოთ აღნიშნული ვადა და სცოდნოდათ, ინიშნებიან თუ არა უვადოდ. ზოგიერთი მათგანი სასამართლოს შეცვლას ითხოვდა - მაგალითად, ოჯახური პირობების გამო ბათუმიდან თბილისში გადაყვანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ამირან ძაბუნიძე კონკურსში მონაწილეობდა, თუმცა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე სამი წელი ჰქონდა დარჩენილი. მას განაცხადი სხვადასხვა სპეციალიზაციის ვაკანსიაზე ჰქონდა გაკეთებული, მათ შორის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიაზეც. საბჭოს არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა გასაუბრებაზე აღნიშნულ კანდიდატს ჰკითხა, რა იყო მისი კონკურსში მონაწილეობის მოტივაცია, ვინაიდან მას უფლებამოსილების ვადა სამი წლის შემდეგ ეწურებოდა.[92] მოსამართლემ ნაზი ჯანეზაშვილს უპასუხა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო უვადოდ გადანიშვნა და დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა პირველი ინსტანციის მოსამართლე იქნებოდა თუ სააპელაციოსი.

11 იანვრის კენჭისყრის სხდომამ ის თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაამწესა. 15 იანვრის სხდომაზე კი, სადაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის/პალატების დაკომპლექტების საკითხი განიხილებოდა, ამირან ძაბუნიძე, საბჭოს გადაწყვეტილებით, კვლავ სამოქალაქო საქმეთა პალატაში იქნა გადაყვანილი. [93]

კანონმდებლობით, მოსამართლის შესარჩევ კონკურსზე ვაკანსია ცხადდება სპეციალიზაციის მიხედვით, კონკრეტულ კოლეგიასა და პალატაში. კანდიდატთან გასაუბრება ხდება მის

90 იხ. 2017 წლის 17 თებერვლის საბჭოს სხდომა;
91 იხ. 24 მარტის საბჭოს სხდომა;
92 იხ. 2017 წლის 29 დეკემბრის გასაუბრება;
93 იხ. 2017 წლის 15 იანვრის საბჭოს სხდომა;

მიერ არჩეული ვაკანსიის მიხედვით, შესაბამისი თემატიკიდან გამომდინარე. თუმცა, იმავდროულად, კანონი ადგენს დანიშნული მოსამართლის სპეციალიზაციის შეცვლის ზოგად რეგულირებას, რაც საბჭოს აძლევს ფართო შესაძლებლობას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეუცვალოს მოსამართლეს სპეციალიზაცია, რომელზეც ის კონკურსის შედეგად დაინიშნა. მოსამართლის გამწესება კონკრეტულ ვაკანსიაზე და შემდეგ ძალიან მოკლე დროში მისთვის სპეციალიზაციის შეცვლა, აზრს უკარგავს კონკრეტულ ვაკანსიებზე შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას, ასევე, მოქმედი მოსამართლეების ვადაზე ადრე გადანიშვნა და ის, თუ როგორ წარიმართა აღნიშნული პროცესი, აჩენს კითხვას: ხომ არ მიიღეს მოქმედმა მოსამართლეებმა კონკურსში მონაწილეობა საბჭოსთან წინასწარი შეთანხმებით

წლების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან კრიტიკის საგანს წარმოადგენდა კონკურსის გარეშე დანიშვნისა და სხვა სასამართლოში მივლინების წესი და პრაქტიკა. წინა წლებში მივლინება/დაწინაურების საკითხი ძალზეე პრობლემური იყო და საბჭოს მიერ დადგენილი წესი და პრაქტიკა ბევრ კითხვას ბადებდა. მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილების 37[1] მუხლით განისაზღვრა უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების/მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების წესი. წესით განისაზღვრა, თუ რა საფუძვლების შემთხვევაშია შესაძლებელი მოსამართლეთა მივლინება. ასევე განისაზღვრა პროცედურა, თუ როგორ უნდა მოხდეს მისავლინებელი მოსამართლის შერჩევა.

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის ერთი და მოსამართლეთა მივლინების ოთხი ფაქტი. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის, რომ მივლინების გადაწყვეტილებები დასაბუთებულია. კერძოდ, დაცულია ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სასამართლოდან მოსამართლის მივლინების წესი, დასაბუთებულია მივლინების საჭიროება და მისი გავლენა როგორც გადაყვანის ადგილზე, ისე იმ სასამართლოზე, საიდანაც ხდება მოსამართლის მივლინება. გადაწყვეტილებები ითვალისწინებს მოსამართლის თანხმობას.

საანგარიშო პერიოდში მოსამართლის გადაყვანის წესი ერთხელ იყო გამოყენებული. კერძოდ, 17 ივლისის სხდომაზე საბჭოს მდივანმა წარმოადგინა საკითხი, რომელიც შეეხებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თემურ გოგოხიას მომართვას, რომლითაც ის ოჯახური პირობების გამო თბილისის სასამართლოში გადაყვანას ითხოვდა.

კანონის თანახმად, მოსამართლის დაწინაურების კრიტერიუმებს შეიმუშავებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საბჭოს რეგლამენტის 13[1] მუხლი კონკურსის გარეშე მოსამართლის დანიშვნის საკითხის ინიცირების შემთხვევაში ითვალისწინებს ინფორმაციის გამოქვეყნებას საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე. საკითხზე მსჯელობას დისკუსია მოჰყვა. საბოლოოდ, უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის, მისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ სხვა მოსამართლეებსაც მიეცათ შესაძლებლობა, 17 ივლისიდან 23 ივლისის

ჩათვლით წარმოედგინათ შესაბამისი განაცხადები.[94]

24 ივლისის სხდომაზე საბჭო აღნიშნულ საკითხს კვლავ მიუბრუნდა. მიუხედავად გამოცხადებული კონკურსისა, თემურ გოგოხიას კონკურენტი არ ჰყოლია. გასაუბრების შედეგად, თემურ გოგოხია თბილისის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლო და საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ იქნა გადაყვანილი. მოგვიანებით, იგი გაერთიანებული სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად გაამწესა საბჭომ.

საბჭოს მიერ ფორმალურად ჩატარებული პროცედურების მიუხედავად, მოსამართლის გადაყვანის წესი კვლავ არ არის სათანადოდ მოწესრიგებული; არ არსებობს გაწერილი პროცედურა და განჭვრეტადი საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მიიღოს იუსტიციის საბჭომ გადაწყვეტილება მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანის შესახებ.[95]

რეკომენდაციები:

- **კანონმდებელმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსამართლის დანიშვნა მხოლოდ დამსახურების საფუძველზე, ობიექტური და დასაბუთებული გადაწყვეტილების შედეგად. კერძოდ, მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების ქულათა სისტემა გავრცელდეს კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატების შეფასებისას, ქულებით შეფასება მოხდეს შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, მოხდეს გასაუბრებისა და ინფორმაციის მოძიების ეტაპების ფორმალიზება და გასაუბრების ჩატარება საბჭოს ღია სხდომაზე, გაუქმდეს მოსამართლეთა ფარული კენჭისყრით დანიშვნის პრაქტიკა და მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნოს საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატი, შემოღებულ იქნას დანიშვნაზე უარის გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი;**

- **კანონმდებელმა გაატაროს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საკანონმდებლო რეფორმა, რაც უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან დამოუკიდებლობას, როგორც ინსტიტუციური, ისე ფუნქციური თვალსაზრისით;**

- **კანონმდებელმა უზრუნველყოს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების უფლებამოსილების გამოყოფა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებისაგან, რათა საბჭოს არ ჰქონდეს არასათანადო გავლენა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაზე;**

- **კანონმდებლობით დადგინდეს მოსამართლეთათვის სპეციალიზაციის განსაზღვრის და შეცვლის წესი და პირობები, რომლებიც სპეციალიზაციის განსაზღვრის/შეცვლის უფლებამოსილებით არასათანადო მანიპულირებას**

94 http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-gantskhadeba/3026 - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება;

95 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 ივლისის N1/231 გადაწყვეტილება თ. გოგოხიას თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ;

გამორიცხავს;

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეების სამწლიან გამოსაცდელ ვადაში შეფასების დეტალური წესის მიღება, რომელიც ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პროცესს უზრუნველყოფს.

- საბჭომ დახვეწოს არსებული მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის ბუნდოვანი წესი; დადგინდეს მოსამართლის გადაყვანის წინასწარ განჭვრეტადი საფუძვლები და პროცედურა, დაწინაურების საკითხის ინიცირების საფუძვლები და პროცედურა.

4. სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობის გამოწვევები და საბჭოს მიერ სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნის პრაქტიკა

- **კანონით დადგენილი არ არის სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის დანიშვნის კრიტერიუმები და პროცედურა. ამგვარი კრიტერიუმები და პროცედურა არც იუსტიციის საბჭოს მიერ ყოფილა შემუშავებული;**

- **კვლავ პრობლემას წარმოადგენს თავმჯდომარეობის კანდიდატების დასახელების გაუმჭვირვალე პროცესი. თავმჯდომარის ერთ პოზიციაზე საბჭო, როგორც წესი, მხოლოდ ერთ კანდიდატს განიხილავს. საბჭოს წევრები არ განმარტავენ კონკრეტული მოსამართლის კანდიდატურის დაყენების მიზეზებს. კითხვებს აჩენს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნის მსურველი მოსამართლეების ნაკლებობა;**

- **არც კანონმდებლობით და არც საბჭოს პრაქტიკით არ არის უზრუნველყოფილი თავმჯდომარეების შერჩევის კონკურენტული პროცესი;**

- **სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის მანკიერი პრაქტიკა საბჭოს მიერ სასამართლო სისტემაში ხელმძღვანელი თანამდებობის პირების თვითნებურად დანიშვნის შთაბეჭდილებას ტოვებს. აღნიშნული, შესაძლოა, გამოიყენებოდეს ინდივიდუალურ მოსამართლეებსა და სასამართლო სისტემაზე საბჭოს გავლენის შესანარჩუნებლად;**

- **წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ამ საანგარიშო პერიოდშიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასამართლოში კოლეგიის თავმჯდომარე თანამდებობიდან დისციპლინური პროცედურების გვერდის ავლით გაათავისუფლა. აღნიშნული ცხადყოფს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დაიკავებს თუ არა მოსამართლე თავმჯდომარის თანამდებობას და დარჩება თუ არა იგი აღნიშნულ თანამდებობაზე ვადის ბოლომდე. თავმჯდომარის დამოუკიდებლობის კანონით დადგენილი გარანტიები პრაქტიკაში არ რეალიზდება;**

- **როგორც წესი, თავმჯდომარეებად არ ინიშნებიან ქალები.**

4.1. კანონმდებლობის მიმოხილვა

შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მოსამართლე მხოლოდ კანონს ემორჩილება. იგი თავისუფალი უნდა იყოს როგორც გარეშე, ისე სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან შესაძლო ზეგავლენისგან.[96]

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევა ღია

96 ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N19, პარ. 13, კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ (2010), პარ. 1;

კონკურსის წესით უნდა ხდებოდეს და მასში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეთ კანდიდატებს, რომლებიც წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.[97]

საქართველოში სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხს მნიშვნელობას მატებს ის ფართო უფლებამოსილებები, რომლებიც თავმჯდომარეებს გააჩნიათ ინდივიდუალურ მოსამართლეებთან მიმართებაში. საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლოების თავმჯდომარეებს გააჩნიათ საკმაოდ ფართო და, ხშირად, დისკრეციული უფლებამოსილებები, მათ შორის: სასამართლოს აპარატის მუშაობის წარმართვა და ზედამხედველობა; საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრა. თავმჯდომარე უფლებამოსილია, მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში, კოლეგიასა ან სპეციალიზებულ შემადგენლობაში. თავმჯდომარეების ფართო უფლებამოსილება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეუზღუდავი დისკრეცია, თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს სასამარლოს თავმჯდომარეები, საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, ხოლო თავმჯდომარეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არაფორმალურ გავლენას უქვემდებარებს.

რაც შეეხება თავმჯდომარეების უფლებამოსილებას საქმეთა განაწილების საკითხში, მიუხედავად პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებისა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს თავმჯდომარის უფლებამოსილებას საქმეების განაწილების კუთხით, აღნიშნული ცვლილებები საანგარიშო პერიოდში არ ამოქმედებულა[98] და სასამართლოებში თავმჯდომარეებს კვლავ რჩებოდათ შეუზღუდავი უფლებამოსილება, გავლენა მოეხდინათ მოსამართლეებს შორის საქმეთა განაწილების პროცესზე.

არც ამ საანგარიშო პერიოდში მომხდარა სასამართლოებში თავმჯდომარეთა დანიშვნისა და საქმიანობის საკანონმდებლო მოწესრიგება. არც საქართველოს კანონმდებლობით და არც საბჭოს გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმები.

წინა საანგარიშო პერიოდში საბჭოს მიერ დადგენილი სასამართლოს თავმჯდომარის გათავისუფლების მანკიერი პრაქტიკის[99] თავიდან ასაცილებლად, სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებებით დაკონკრეტდა სასამართლოს თავმჯდომარის გათავისუფლების წესი. კანონით მკაფიოდ განისაზღვრა, რომ სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის/სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება.[100] აღნიშნული გამორიცხავს დადგენილი პროცედურის გარეშე თავმჯდომარის თანამდებობიდან პირის გათავისუფლებას , როგორც ეს წინა საანგარიშო პერიოდში მოხდა. მიუხედავად ამ პოზიტიური ცვლილებისა, საანგარიშო

---

97 ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს N19 (2016) დასკვნა სასამართლოს თავმჯდომარეების როლის შესახებ, პარ. 45, 46;

98 საანგარიშო პერიოდში მოქმედი საქმეთა შემთხვევითი განაწილების წესი პილოტური რეჟიმის პირობებში ამოქმედებული იყო მხოლოდ რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

99 საბჭომ, კანონის მოთხოვნების უგულებელყოფით, ისე გაათავისუფლა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე თანამდებობიდან, რომ მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განუხორციელებია, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის N5 ანგარიში, თავი 5, 4, 3, https://goo.gl/vh5VJi;

100 **„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;**

პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე გიორგი ებანოიძე გაათავისუფლა არა კანონით დადგენილი დისციპლინური პროცედურების გამოყენებით, არამედ სასამართლო კოლეგიის გაერთიანების მოტივით. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული ფორმით კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლებამ თავმჯდომარის დისციპლინური კანონმდებლობის გვერდის ავლით გათავისუფლების შთაბეჭდილება დატოვა.[101]

4.2. სასამართლოს, პალატის, კოლეგიის თავმჯდომარეებისა და მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა და გათავისუფლება



სურათი 4: 2016- 2017 წლებში თავმჯდომარეთა/მოვალეობის შემსრულებელთა დანიშვნის მაჩვენებელი.

2016 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით სასამართლო სისტემაში დაინიშნა სასამართლოს/პალატის/კოლეგიის 17 მოვალეობის შემსრულებელი და სასამართლოს/კოლეგიის 4 თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში საბჭომ სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარედ დანიშნა 22 მოსამართლე, ხოლო სასამართლოს კოლეგიის/პალატის მოვალეობის შემსრულებლად - 11 მოსამართლე. როგორც ვხედავთ, საბჭოს კვლავ შენარჩუნებული აქვს მოსამართლის მოვალეობის შემსრულებლად გამწესების პრაქტიკა. თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის გადაწყვეტილებები

101 http://coalition.ge/index.php?article_id=162&clang=0 - კოალიცია მკვეთრად უარყოფითად აფასებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან თვითნებურად გათავისუფლებას.

და მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის ხანგრძლივობა დასაბუთებული არ ყოფილა, რაც წარმოშობს ეჭვებს მოვალეობის შემსრულებლის ინსტიტუტის არასათანადო მიზნებით გამოყენების შესახებ.

სასამართლოს, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარეთა და მოვალეობის შემსრულებელთა დანიშვნა-გათავისუფლების საკითხზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა პროცესის თანმდევი ხარვეზების მთელი რიგი: კრიტერიუმებისა და პროცედურის არქონა; არაკონკურენტული გარემო; ფორმალური გასაუბრებები, რა დროსაც ობიექტურ დამკვირვებელს არ ეძლევა საშუალება, შეაფასოს, რა კრიტერიუმით აფასებს საბჭოს წევრი კანდიდატს. საკანონმდებლო მოუწესრიგებლობა და საბჭოს არათანმიმდევრულობა თვითნებობის საშუალებას ტოვებს, რაც მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს სასურველი მოსამართლეების მენეჯერულ პოზიციებზე გასამწესებლად. თავმჯდომარეების დანიშვნისას იუსტიციის უმაღლესი საბჭო წლების განმავლობაში არ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტსაც კი. არც კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თავმჯდომარეთა შერჩევის კრიტერიუმებსა და დანიშვნის პროცედურას, რაც სრულ შეუსაბამობაშია არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცალკეული მოსამართლეებისა და სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობას.

ამ მოსაზრებას ამყარებს აჭარის ტელევიზიის ეთერში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი შავაძის განცხადება, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, დავით მამისეიშვილის, გავლენებზე სასამართლოში და კონკრეტულ მოსამართლეზე. მოსამართლის ეს უპრეცედენტო გამოსვლა სისტემის შიგნით არსებული პრობლემების შესახებ, ცხადჰყოფს, თუ რამდენად დიდია თავმჯდომარეების გავლენა სასამართლოში საქმეთა განხილვაზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სასამართლო სისტემა სწორედ თავმჯდომარეების მეშვეობით იმართება.

საბჭომ საანგარიშო პერიოდში არაერთი სხდომა მიუძღვნა სასამართლოს, პალატის, კოლეგიის თავმჯდომარეებისა და მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნას. საბჭოს განახლებული შემადგენლობის პირობებში თავმჯდომარეთა დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხის განხილვა მწვავე დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. დისკუსიის მთავარი მიზეზი კრიტერიუმებისა და პროცედურის არარსებობა იყო.

დისკუსიისას საბჭოს მოსამართლე წევრების პოზიციები ერთგვაროვანი იყო, რაც შემდეგ განმარტებაში გამოიხატებოდა: კანონმდებლობით გაწერილი არ არის კონკრეტული პროცედურა და საბჭოს გადასაწყვეტია, ვის დანიშნავს. მიუხედავად ამისა, საბჭო კეთილ ნებას იჩენს და კანდიდატებთან გასაუბრებას ნიშნავს.

საბჭომ კანდიდატებთან გასაუბრების პრაქტიკა მართლაც დაამკვიდრა. გასაუბრებაზე კანდიდატებს, ძირითადად, უსვამდნენ კითხვებს მენეჯერული უნარების ფლობაზე, განსახილველ საქმეთა სტატისტიკაზე, პრობლემების იდენტიფიცირებასა და მოგვარების გზებზე. თუმცა, ვინაიდან კრიტერიუმები გაწერილი არ არის, ბუნდოვანი და განუჭვრეტელია, დასმული კითხვებითა და მიღებული პასუხებით რა კონკრეტული უნარების შემოწმება ხდებოდა. ამასთან, პროცესზე დაკვირვებით ნათლად წარმოჩინდა, რომ კანდიდატები ხშირ შემთხვევაში არ ფლობდნენ ინფორმაციას სასამართლოში არსებულ გამოწვევებზე, ვერ ახდენდნენ პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და მათი საუბარი ზოგადი იყო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რჩება განცდა, რომ კანდიდატებთან გასაუბრების პროცესს ფორმალური ხასიათი ჰქონდა და კონკრეტული კანდიდატების დანიშვნის საკითხზე საბჭოს წევრები წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი.

არამოსამართლე წევრმა გოჩა მამულაშვილმა თავმჯდომარის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში არასოდეს მომხდარა, რომ არამოსამართლე წევრებისთვის ვინმეს აზრი ეკითხოს, 2/3 არ სჭირდება თავმჯდომარის არჩევას და მოსამართლე წევრები მოილაპარაკებდნენ და ირჩევდნენ.[102]

თავმჯდომარეების შერჩევის პროცესი არაკონკურენტულ გარემოში მიმდინარეობდა. მოსამართლე წევრების მიერ, ძირითადად, ერთი კანდიდატი სახელდებოდა და სწორედ ის კანდიდატი ინიშნებოდა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის დანიშვნის პროცესს.

მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურა საბჭოს წინაშე მოსამართლე წევრმა შოთა გეწაძემ წარადგინა. მიხეილ ჩინჩალაძის კანდიდატურა უკონკურენტო აღმოჩნდა. მის წარდგენას წინ უსწრებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოულოდნელად გადადგომა[103], რამაც საბჭოს შესაძლებლობა მისცა, ამ პოზიციაზე სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი გაემწესებინა. საკითს ისიც ამწვავებდა, რომ მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ გამწესების საკითხს იხილავდა საბჭო, რომლის წევრთა უმრავლესობას უფლებამოსილების ვადა ეწურებოდა, რაც კიდევ უფრო ამყარებდა ეჭვს, რომ საბჭოს მოქმედი შემადგენლობა ცდილობდა, თავმჯდომარედ მისთვის სასურველი კანდიდატის დანიშვნა მოესწრო.

გასაუბრებისას პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა არამოსამართლე წევრმა ვახტანგ მჭედლიშვილმა მიხეილ ჩინჩალაძეს ურჩია, მოეხსნა კანდიდატურა, ვინაიდან მისი კანდიდატურა დისკრედიტირებული იყო საზოგადოებაში და მისი დანიშვნა დადებითად არ აისახებოდა სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლების პროცესზე. სხვა არამოსამართლე წევრებსაც ჰქონდათ შეკითხვები საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებებზე მოსამართლეთა საქმიანობაში სავარაუდო ჩარევისა და სასამართლო სისტემაში მისი გავლენების შესახებ. კანდიდატმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ მასთან დაკავშირებულ გამოთქმულ ბრალდებებს არ ეთანხმებოდა და ღია იყო თანამშრომლობისთვის.საბჭომ 12 ხმით მიხეილ ჩინჩალაძე გაამწესა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ.[104]

დაფიქსირდა ცალკეული შემთხვევა, როცა საბჭოს არამოსამართლე წევრებმა ალტერნატიული კანდიდატები დაასახელეს, თუმცა ეს კანდიდატები კენჭისყრაზეც კი არ დაუყენებიათ. საბჭოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, მოსამართლეთა დანიშვნა ფარული კენჭისყრით ხდება, შესაბამისად, მოსამართლე წევრების მიერ დასახელებული კანდიდატების საბჭოს უმრავლესობის მხარდაჭერის პირობებში ალტერნატიული კანდიდატის კენჭისყრა ფაქტობრივად აზრს კარგავდა.

საბჭოს განახლებული შემადგენლობის პირობებში თბილისის საქალაქოს სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის განხილვისას, როდესაც ასევე მხოლოდ ერთი კანდიდატი იყო წარმოდგენილი, არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის მიერ შეთავაზებულ იქნა,

---

102 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 29 მაისის სხდომის ვიდეო ოქმი;

103 http://medianews.ge/ge/iustitsiis-umaghlesma-sabchom-valeri-tsertsvadzis-gantskhadeba-tsnobad-miigho/27074 - ვალერი ცერცვაძის განცხადებით, მან სააპელაციო სასაამრთლოს თავმჯდომარეობიდან გადადგომის გადაწყვეტილება ორ კომპანიას შორის სამართლებრივი დავის გამო მიიღო, რომელთაგან ერთ-ერთი მისი ოჯახის სახელს უკავშირდება;

104 არამოსამართლე წევრი **გოჩა მამულაშვილ არ ესწრებოდა სხდომას, ხოლო ვახტანგ მჭედლიშვილმა წინააღმდეგ მისცა ხმა;**

მომხდარიყო გარკვეული ვადით თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა, გაწერილიყო თავმჯდომარის შერჩევის პროცედურა და კრიტერიუმები და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელა საბჭოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნაზე. ამასთან მას არ ქონდა ინფორმაცია, რამდენად მიეცათ შესაძლებლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვა მოსამართლეებს, დაეყენებინათ თავიანთი კანდიდატურები. საბჭოს მოსამართლე წევრები აღნიშნავდნენ, რომ, მათი ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები მიესალმებოდნენ ვასილ მშვენიერაძის კანდიდატურას, ამასთან სასამართლოს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თავმჯდომარე. საბჭომ 3 ივლისის სხდომაზე, ფორმალური გასაუბრების შემდეგ ვასილ მშვენიერაძე, საბჭოს მოქმედი წევრი, დანიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის თავმჯდომარედ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროცედურებისა და კრიტერიუმების არარსებობა დამატებით კითხვებს აჩენს და ბუნდოვანებას იწვევს როგორც კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეთა დანიშვნის, ისე მათი გათავისუფლების მიმართაც. კანონის თანახმად, პირს სასამართლო კოლეგიის/პალატის თავმჯდომარედ ამ კოლეგიის/პალატის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საბჭომ პალატის ხელმძღვანელი დანიშნა არა პალატის შემადგენლობიდან, არამედ, სხვა კოლეგიის მოსამართლეს შეუცვალა სპეციალიზაცია და შემდგომ გაამწესა თავმჯდომარედ. კერძოდ, საბჭოს 19 ივნისის სხდომაზე საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ წარმოადგინა საკითხი, რომელიც შეეხებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის და ამავე კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, საბჭოს წევრის - მერაბ გაბინაშვილის გადაყვანას სამოქალაქო საქმეთა პალატაში იმ არგუმენტით, რომ პალატას უკვე დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყავდა თავმჯდომარე და გამოწვევების წინაშე იდგა; მეორე საკითხად კი საბჭომ მერაბ გაბინაშვილის სამოქალაქო პალატის თავმჯდომარედ გამწესების საკითხი განიხილა.

საბჭოს სხდომაზე არამოსამართლე წევრების ინტერესი გამოიწვია იმან, თუ რატომ იყო აუცილებელი მერაბ გაბინაშვილის, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლის, გადაყვანა სამოქალაქო საქმეთა პალატაში და შემდგომ მისი დანიშვნა სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ. გოჩა მამულაშვილი აღნიშნავდა, რომ საგამოძიებო კოლეგიაშიც ბევრი გამოწვევა იყო და მისი სხვა სპეციალიზაციაში გადასვლა საქმეს არ წაადგებოდა. საკითხზე მსჯელობისას ხაზგასმა ხდებოდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებაზე და პროფესიონალიზმზე. საბოლოოდ საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი მისთვის სპეციალიზაციის შეცვლას და სამოქალაქო საქმეთა პალატაში თავმჯდომარედ გამწესებას. თუმცა არც სპეციალიზაციის და არც თავმჯდომარედ გამწესების გადაწყვეტილებები დასაბუთებული არ ყოფილა.

მესამე ტალღის ცვლილებებით დაკონკრეტდა სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი, რის შედეგადაც თავმჯდომარის გათავისუფლება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებად განიხილება. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარე თანამდებობიდან დისციპლინური პროცედურების გვერდის ავლით გათავისუფლდა. საბჭომ თავისი გადაწყვეტილება კოლეგიების გაერთიანებას დაუკავშირა. არამოსამართლე წევრი ვახტანგ მჭედლიშვილი საკითხზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, რატომ არ გაამწესა საბჭომ გაერთიანებული კოლეგიების თავმჯდომარედ მის მიერ 5 წლით დანიშნული თავმჯდომარე

და რატომ დანიშნა მოვალეობის შემსრულებლად გამწესებული ბადრი შონია. თუ საბჭოს პრეტენზიები ჰქონდა გიორგი ებანოიძის მუშაობასთან დაკავშირებით, ამ შემთვევაში დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დაეწყო. ეჭვებს ასევე ამძაფრებდა ის ფაქტიც, რომ საბჭოს არამოსამრთლე წევრის - ვახტანგ მჭედლიშვილის მიერ აღნიშნული სხდომის ოქმის გამოთხოვისას გაირკვა, რომ კოლეგიების გაერთიანების საკითხის განხილვისას სხდომა ელექტრონულად არ იწერებოდა, როგორც შემდგომ საბჭომ განმარტა, სერვერზე არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო. [105]

წლების განმავლობაში პრობლემურად რჩება პირის სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის საკითხი. არც კანონით, არც საბჭოს გადაწყვეტილებით არ არის დარეგულირებული, რა შემთხვეაში ინიშნებიან მოვალეობის შემსრულებლები. არც საბჭოს მიერ დადგენილი პრაქტიკით არ არის დასაბუთებული მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნის საჭიროება. გაუგებარია, რა არგუმენტებზე დაყრდნობით წყვეტს საბჭო, მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს თუ ვადიანი თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში დანიშნული 17 სასამართლოს თავმჯდომარიდან 13 მანამდე მოვალეობის შემსრულებლად იყო დანიშნული. მოვალეობის შემსრულებლად გამწესების დროს ასევე პრობლემურია მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის ვადა.

საბჭოს 25 სექტემბრის სხდომაზე, სადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი იხილებოდა, სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე გამწესების თხოვნის განცხადება მხოლოდ ბადრი შონიას ჰქონდა შეტანილი. არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა აღნიშნა, რომ ისურვებდა, უფრო მაღალი კონკურენციის პირობებში ჰქონოდა არჩევანის გაკეთების საშუალება. კონკურენციის არარსებობა მან შერჩევის კრიტერიუმის არქონას დაუკავშირა, რაც მოსამართლეებში, სავარაუდოდ, არაობიექტურობის განცდას წარმოშობდა. საბჭოს თავმჯდომარე საკითხის გადადებას ითხოვდა, თუმცა მის წინადადებას უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. სხდომის განახლების შემდეგ ვასილ მშვენიერაძემ აღნიშნულ თანამდებობაზე თემურ გოგოხიას კანდიდატურა დაასახელა. გასაუბრებაზე თემურ გოგოხიამ ვერ ისაუბრა კოლეგიაში არსებულ კონკრეტულ საჭიროებებსა და ხარვეზებზე, აღნიშნა, რომ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი დანიშვნიდან მცირე დრო იყო გასული, საშუალება არ ჰქონდა, კოლეგიის მუშაობის სპეციფიკას გასცნობოდა. მოსამართლე წევრები ხაზს უსვამდნენ მის გამოცდილებას. საბოლოოდ საბჭომ მხარი არ დაუჭირა ბადრი შონიას კანდიდატურას და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამ პოზიციაზე ქუთაისიდან კონკურსის გარეშე გადმოყვანილი მოსამართლე თემურ გოგოხია გაამწესა.[106] არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი აღნიშნავდა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუ ისევ მოვალეობის შემსრულებელი უნდა დაეინიშნათ, რატომ არ მოხდა ბადრი შონიას მხარდაჭერა, რომელიც ორი თვის წინ ხმათა უმრავლესობით დანიშნეს. მნიშვნელოვანი იყო, დასახელებულიყო მიზეზი, რას ვერ გაართვა მან თავი. თუმცა ასეთი მიზეზი არ დასახელებულა.[107]

საანგარიშო პერიოდში, პროცედურისა და კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, საბჭომ დანიშნა 17 სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის უფლებამოსილება დააკისრა 8 მოსამართლეს, სასამართლოს კოლეგიის/პალატის თავმჯდომარედ

105 http://hcoj.gov.ge/ge/saqartvelos-iustitsiis-umaghlesi-sabchos-gantskhadeba/3031 - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება;

106 იხ. საბჭოს 2017 წლის 25 სექტემბრისა და 2 ოქტომბრის ოქმები;

107 იხ. 2017 წლის 25 სექტემბრის სხდომის ოქმი;

დანიშნა 5, ხოლო თავმჯდომარის უფლებამოსილება დააკისრა 3 მოსამართლეს.

საანგარიშო პერიოდში დანიშნული სასამართლოს 25 თავმჯდომარე/მოვალეობის შემსულებლიდან მხოლოდ სამია ქალი, ხოლო 8 კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე/მოვალეობის შემსულებლიდან არცერთი ქალი არ არის.

სასამართლოს/კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეთა დანიშვნისას პროცედურებისა და კრიტერიუმების არქონა საბჭოს წევრებს შეუზღუდავ შესაძლებლობას აძლევს, თავმჯდომარეები თანამდებობაზე სუბიექტური შეხედულებით დანიშნონ. აღნიშნული მანკიერებები უკვე წლებია, ხელს უწყობს თავმჯდომარეების არასათანადო გავლენების შენარჩუნებას როგორც სასამართლო სისტემაში, ისე ცალკეულ მოსამართლეზე, ხოლო ქალ მოსამართლეებს ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავებისათვის ხელოვნურ ბარიერს უქმნის. სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნისას გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინება ქალ მოსამართლეებს წაახალისებს, გამოთქვან თავმჯდომარის პოზიციის დაკავების სურვილი და მოხსნის არსებულ ხელოვნურ ბარიერს, რაც პრაქტიკაში ხელს უშლის ქალი მოსამართლეების ადმინისტრაციულ პოზიციებზე დანიშვნას. თავმჯდომარეების დანიშვნის პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თავმჯდომარეების შერჩევის პროცესი კონკურენტული არ არის, ხოლო ქალი მოსამართლეები, როგორც წესი, საკუთარ კანდიდატურასაც კი არ აყენებენ თავმჯდომარის პოზიციაზე.

სხდომაზე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ ვასილ მშვენიერაძის კანდიდატურა განიხილებოდა, არამოსამართლე წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა საბჭოს წევრებს ქალი კანდიდატების დასახელებისაკენ მოუწოდა, მით უფრო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა უმრავლესობა ქალი იყო. საკითხზე მსჯელობისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მოსამართლე წევრებს გენდერულ საკითხების მიმართ საკმარისი მგრძნობელობა არა აქვთ და გენდერულ თემებს სასამართლო სისტემისათვის ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევენ.[108]

4.3. საქმეთა განაწილების საბჭოს მიერ დამტკიცებულ ელექტრონულ წესში ასახული სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილებები

მართლმსაჯულების „მესამე ტალღის“ ერთ-ერთ მთავარ მიღწევად საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შემოღება უნდა ჩაითვალოს. კანონით საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების, წესის შემუშავება და დამტკიცება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა. ელექტრონული განაწილების წესი საპილოტედ 2017 წლის 01 ივლისიდან ამოქმედდა ჯერ რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 31 დეკემბრიდან - საერთო სასამართლოების სისტემაში.

2017 წლის 1 მაისს საბჭომ მიიღო საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, განაწილების წესი, რომლითაც გაიწერა, რომ საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება, გარდა წესით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, ხორციელდება შესაბამისი კოლეგიის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეებს შორის.

მიუხედავად კანონის აღნიშნული ცვლილებისა, რომლის თანახმადაც, გამონაკლისი

108 იხ. 2017 წლის 3 ივლისის სხდომა;

შემთხვევების გარდა, საქმეთა განაწილება თავმჯდომარის მიერ აღარ ხდება, ისევ პრობლემურია სასამართლოს თავმჯდომარეთა ფართო დისკრეცია. მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლეს დაავალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა პალატაში ან საგამოძიებო კოლეგიაში, ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში, აგრეთვე დაავალოს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განხილვა.[109] ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ვიწრო სპეციალიცაზიაში მოსამართლეთა შემადგენლობას სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს. აღნიშნული რეგულაცია საქმეთა განაწილების სისტემაში სასამართლოს თავმჯდომარის ჩარევის სერიოზულ რისკებს წარმოშობს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლოების/პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეები წლებია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთგვარ ბერკეტად აღიქმებიან, რომელსაც ის შესაბამისი სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის გასაკონტროლებლად და მოსამართლეების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად იყენებს.

საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის მე-6 მუხლით განისაზღვრა, რომ თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგძლივობა 2 დღეს აღემატება, თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქმეები რიგითობის წესით გაანაწილოს, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა 24 ან 48 საათია, თავმჯდომარე საქმეებს ანაწილებს, თუ შეფერხების ხანგძლივობა სამ საათს აღემატება.

2017 წლის 27 დეკემბერს აღიშნულ წესში შესული ცვლილებებით, შეფერხების დროს საქმეთა განაწილება თავმჯდომარესთან ერთად შესაძლებელია, განახორციელოს თავმჯდომარის მოადგილემ, ასევე კოლეგიისა და პალატის თავმჯდომარემ. თუმცა, დღეს მოქმედი რედაქციით, აღნიშნული წესი შეიცვალა და საქმეთა ელექტრონული სისტემის შეფერხების დროს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირია უფლებამოსილი, გადაანაწილოს საქმეები რიგითობის მიხედვით. აღნიშნულ ცვლილებაზე მსჯელობისას საბჭოს მოსამართლე წევრმა გამოთქვა იმედი, რომ კანცელარიის თანამშრომლის მიერ საქმეთა განაწილება მოხსნიდა კითხვებს თავმჯდომარეების შესაძლო გავლენებზე. [110] ვფიქრობთ, აღნიშნული მსჯელობა ლეგიტიმურ საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან, კანონის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს აპარატსაც უწევს ზედამხედველობას.

თავმჯდომარეთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ასევე საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლების, საქმისწარმოების ვადების, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზების) შესწავლა და განზოგადება. აღნიშნული ფუნქცია სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად, ასევე მიენიჭა „მესამე ტალღის“ რეფორმის ფარგლებში შექმნილ მენეჯმენტის დეპარტამენტს.

მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კონკურსის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. 2018 წლის 08 მაისს საბჭომ მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის მიმდინარეობისას კანდიდატების თაობაზე ინფორმაცია საბჭოს ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა. მოგვიანებით საბჭოს სხდომაზე გაჟღერდა,

109 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი;
110 იხ. 2018 წლის 8 იანვრის სხდომა;

რომ კანდიდატის შერჩევა ვერ მოხდა. მომდევნო თვეების განმავლობაში მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე საბჭოს დამატებით კონკურსი არ გამოუცხადებია. მენეჯმენტის დეპარტამენტი ამჟამად ორი თანამშრომლითაა დაკომპლექტებული.[111] მენეჯმენტის დეპარტამენტს საბჭოს სხდომაზე რაიმე წინადადებები ან რეკომენდაციები საქმეთა ნაკადის მართვის, საქმეთა განხილვის გაჭიანურების მიზეზების, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების ზედამხედველობისა და დახვეწის კუთხით არ წარმოუდგენია. ხოლო იმის გათვალისწინებით,რომ სასამართლოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად საქმეთა გაჭიანურება რჩება, კიდევ ერთხელ ნათლად იკვეთება „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული პოზიტიური ცვლილებების იმპლემენტაციის კუთხით საბჭოს არაეფექტურობა.

რეკომენდაციები:

- **კანონით დადგინდეს სასამართლოს/პალატის/კოლეგიის თავმჯდომარის არჩევის წესი, რომელიც მოსამართლეთა თვითმმართველობას უზრუნველყოფს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ძალაუფლების კონცენტრაციის რისკებს ამცირებს. წესმა, მათ შორის, გაითვალისწინოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის კონკურენტული და ღია პროცესი;**

- **კანონითა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგინდეს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის კრიტერიუმები, წესი, უფლებამოსილების დაკისრების მაქსიმალური ვადა, მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის საჭიროების დასაბუთება;**

- **კანონმდებლობით შეიზღუდოს თავმჯდომარეების დისკრეციული უფლებამოსილებები, რათა მოხდეს სასამართლო ხელისუფლებაში ძალაუფლების კონცენტრაციის და არაფორმალური მმართველობის პრევენცია;**

- **იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღოს ზომები, რათა წახალისებულ იქნას თავმჯდომარის პოზიციაზე ქალი მოსამართლეების დანიშვნა.**

111 https://goo.gl/xowi2v

5. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

ძირითადი მიგნებები:

- **საბჭომ არ უზრუნველყო სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურასთან დაკავშირებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ცვლილებების დროული და ეფექტური იმპლემენტაცია. ამან თითქმის 9 თვის განმავლობაში შეაფერხა დადებითი ცვლილებების პრაქტიკაში ამოქმედება და გამოიწვია კანონის ამოქმედების შემდეგ შესული დისციპლინური საჩივრების განხილვის გაჭიანურება;**

- **სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებებით მიღებული გაუმჯობესებების მნიშვნელობას ამცირებს ის ფაქტი, რომ გაუმჯობესებული პროცედურები ცვლილებების ამოქმედებამდე საბჭოში შესულ დისციპლინურ საჩივრებზე ან ცვლილებების ამოქმედებამდე ჩადენილ დისციპლინურ დარღვევებზე არ ვრცელდება;**

- **დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევად კონკურსი ხარვეზიანი წესით ჩატარდა, რამაც გამოიწვია დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევა სრულიად გაუმჭვირვალე პროცესისა და გაურკვეველი პროცედურის პირობებში;**

- **დისციპლინური საჩივრების განხილვის ვადები კვლავ ჭიანურდება, რაც სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობისთვის სერიოზული საფრთხის შემცველია;**

- **დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის მაჩვენებელი კვლავ მაღალია, რაც არასათანადო გამჭვირვალობის პირობებში წარმოშობს ეჭვებს საქმეთა შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ობიექტურობასთან დაკავშირებით;**

- **არასაკმარისი სტატისტიკური ინფორმაციის პირობებში შეუძლებელია შეფასდეს, თუ რას მიიჩნევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების არასათანადოდ შესრულებად ან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებად და დასაბუთებულია თუ არა ამ საფუძვლით შესულ საჩივრებზე დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა.**

5.1. დისციპლინური სამართალწარმოებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა

წინამდებარე თავში მოცემულია მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება ე. წ. მესამე ტალღის საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდეგ პერიოდებში.

კანონით, მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, რაც მუდმივად პრობლემას წარმოადგენდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის თვალსაზრისით. მესამე ტალღის რეფორმის ამოქმედებამდე, დისციპლინური საქმეების შეწყვეტის განსაკუთრებით

მაღალი მაჩვენებლის პირობებში, შეწყვეტის საფუძვლიანობის შესახებ ინფორმაცია არ საჯაროვდებოდა. ბუნდოვანი იყო დისციპლინური საქმეების განხილვის ვადები, რაც საქმეთა განხილვის გაჭიანურების შესაძლებლობას იძლეოდა. მაგალითად, **2016 წელს საბჭოს წარმოებაში ჰქონდა 488 დისციპლინური საქმე, საიდანაც იმავე წელს მხოლოდ 231 საჩივარი იქნა განხილული, ხოლო დანარჩენ 257 საჩივრზე დისციპლინური სამართალწარმოება 2017 წელს გაგრძელდა.**

სასამართლო სისტემის რეფორმის ე. წ. „მესამე ტალღის“ ფარგლებში პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით, კერძოდ:

ა. მოსამართლეს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება, მიეცა შესაძლებლობა, მოითხოვოს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამართული საბჭოს სხდომის (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა), სადისციპლინო კოლეგიისა და პალატის სხდომების გასაჯაროების უფლება;

ბ. დაკონკრეტდა მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების ან სამართალწარმოების შეწყვეტის საერთო ვადა, რომელიც 2 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირით;

გ. დადგინდა საბჭოს ვალდებულება, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ;

დ. დადგინდა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება.

„მესამე ტალღის“ რეფორმის ფარგლებშიშეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელსაც ევალება მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და ყოველმხრივი გამოკვლევა და წინასწარი შემოწმება. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის შექმნა დადებითად შეფასდა, კანონით არ იქნა დადგენილი დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის აუცილებელი გარანტიები. კერძოდ:

ა. დამოუკიდებელ ინსპექტორს თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით (მხოლოდ მოსამართლე წევრების ხმები არის საკმარისი ინსპექტორის დანიშვნისა და გათავისუფლებისთვის);

ბ. დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წინადადებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის მიმართვის უფლება აქვს ასევე მოსამართლეთა კონფერენციის 1/3-ს. ამასთან, კანონი ადგენს ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ზოგად საფუძვლებს. მაგ.: მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება; შეუფერებელი ქცევა, რომელიც სახელს უტეხს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს; მოსამართლეთა უფლებების უხეში ან სისტემატური შელახვა და სხვ. თანამდებობიდან გათავისუფლების ამგავრი ფართო საფუძვლების არსებობა არ შეესაბამება კანონის განჭვრეტადობის პრინციპს და საფრთხეს უქმნის ინსპექტორის დამოუკიდებლობას.

„მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებებით დადგინდა, რომ ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული დისციპლინური საქმეების წარმოება, აგრეთვე ამ კანონის ამოქმედებამდე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების საქმეთა წარმოება წარიმართება და დასრულდება ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესით. იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობამ გამჭვირვალობის კუთხით გარკვეული დადებითი ცვლილებები გაითვალისწინა, საფუძველს მოკლებულია კანონის ამოქმედებამდე მიღებული დისციპლინური საჩივრების ძველი წესით განხილვა. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა კანონის აღნიშნული ნორმა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებაში (კანონის წინაშე თანასწორობის უფლება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.[112].

5.2. ინსპექტორის შერჩევა/დანიშვნის შეფასება

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ვერ უზრუნველყო მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების ახალი წესების პრაქტიკაში დროულად იმპლემენტაცია, რამაც თითქმის 9 თვით შეაფერხა პოზიტიური ცვლილებების პრაქტიკაში ამოქმედება და კანონის ამოქმედების შემდეგ შესული დისციპლინური საჩივრების განხილვის გაჭიანურება გამოიწვია. დამოუკიდებელი ინსპექტორის დანიშვნის მომენტისათვის საბჭოში უკვე შესული იყო 138 საჩივარი .

საბჭოდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროფესიულ საჯარო მოხელეს არ წარმოადგენს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ის არც იმ პირთა ჩამონათვალში შედის, რომლებზეც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება.[113] თუმცა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51^1 მუხლის ჩანაწერიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი ინსპექტორი წარმოადგენს სახელმწიფო მოსამსახურეს. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სტატუსთან დაკავშირებული ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ საგამონაკლისო ჩამონათვალს დაემატოს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობა, რაც ნათლად დაადგენს დამოუკიდებელი ინსპექტორის ადგილს საჯარო სამსახურის სისტემაში.

რაც შეეხება დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის წესს, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამ მიზნით 2017 წლის 31 მარტს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საბჭოს რეგლამენტში ცვლილებები შეიტანა, რომლებითაც დაადგინა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ცხადდება. რეგლამენტით აგრეთვე დადგინდა ინსპექტორის არჩევის ორეტაპიანი წესი: კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების ფორმალური მხარის შემოწმება და მეორე ეტაპზე გასვლის უფლების მქონე კანდიდატების შერჩევა. კონკურსის მეორე ეტაპი კანდიდატებთან გასაუბრებასა და გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს. შემდგომ რეგლამენტი განსაზღვრავს, რომ გასაუბრების დასრულების შემდეგ ტარდება კენჭისყრა.

112 12-01-2018 სარჩელი N-1291, სარჩელი რეგისტრირებულია, თუმცა ჯერ არსებითი განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს არ დაუწყია.

113 საიას 2018 წლის 9 მარტის Ng-04/43-18 წერილი; საბჭოს 2018 წლის 15 მარტის N587/628-03-ო წერილი;

არც კანონი და არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის წესი არ განსაზღვრავს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს: როგორ ტარდება კონკურსის მეორე ეტაპი (დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის კრიტერიუმები, კრიტერიუმებით შეფასების წესი, გასაუბრების ჩატარების მიზანი და წესი, გასაუბრებაზე გამოსარკვევი საკითხები, კანდიდატის შეფასების წესი და მისი დასაბუთება), არ არის დადგენილი კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები (ობიექტურობა, საჯაროობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და სხვ.). აღნიშნული ხარვეზები საბჭოს თვითნებობის ფართო შესაძლებლობას აძლევს, რაც ინსპექტორის დანიშვნის პრაქტიკითაც იქნა დადასტურებული.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი პირველად 2017 წლის 8 მაისს გამოაცხადა.[114] არც კონკურსის მიმდინარეობისას, არც მისი დასრულების შემდეგ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია კანდიდატების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არც კანონი და არც საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს კანდიდატთან გასაუბრების პროცესის დახურვას, გასაუბრებები საბჭოს დახურულ სხდომაზე წარიმართა.

პირველი კონკურსის შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორი არ იქნა არჩეული. საბჭოს ვებგვერდზე არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ. საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად,[115] დამოუკიდებელი ინსპექტორის ვაკანსიაზე 8 მაისს გამოცხადებულ კონკურსში კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო და დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობა ვაკანტური დარჩა.

საბჭომ განმეორებით კონკურსი მხოლოდ 2017 წლის 23 ოქტომბერს გამოაცხადა, პირველი კონკურსის დასრულებიდან ოთხი თვის შემდეგ.[116] როგორც ამ სხდომაზე აღინიშნა, კონკურსის ხელმეორედ გამოცხადების დროისთვის საბჭოში 78 დისციპლინური საჩივარი იყო შესული და იმის გამო, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი არ იყო შერჩეული, მათი განხილვა ვერ ხდებოდა.[117]

აღნიშნული 4 თვის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსის ბუნდოვანი წესის დახვეწაზე არ უმუშავია.

2017 წლის 23 ოქტომბერს გამოცხადებული კონკურსის მიმდინარეობისას კვლავ არ გასაჯაროებულა კონკურსში მონაწილე პირთა ვინაობა და მათი ბიოგრაფიული მონაცემები. გასაუბრებები დახურულ რეჟიმში ჩატარდა. მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ, დაკვირვებოდნენ კონკურსის მიმდინარეობას, გასაუბრების პროცესს, გასცნობოდნენ კონკურსანტების ბიოგრაფიულ მონაცემებს. საბოლოოდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ქეთევან ცინცაძე[118]. ქეთევან

114 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/58-2017.pdf - საბჭოს გადაწყვეტილება დამოუკიდებელი ინსპექტორის ვაკანსიაზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე, საბუთების მიღება 15 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა;

115 საიას 2017 წლის 29 სექტემბრის Nგ-04/296-17 წერილი, საბჭოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N1167/2299-03-ო პასუხი.

116 http://hcoj.gov.ge/files/news/dgis%20cesrigi/29-dgis%20cesrigi_23.10.2017.pdf – 2017 წლის 23 ოქტომბრის სხდომის ოქმი;

117 Ibid.;

118 ქეთევან ცინცაძე 2009 წლიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნამდე საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. მისი ბიოგრაფია ხელმისაწვდომია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე: http://hcoj.gov.ge/ge/about/organizational-charter/aparati/damoukidebeli-inspeqtoris-aparati/damoukidebeli-inspeqtori-qetevan-tsintsadze;

ცინცაძის ბიოგრაფიამ და მისი არჩევის გაუმჭვირვალე პროცესმა ეჭვი გააჩინა ინსპექტორის რეალურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც კანონით დამოუკიდებელ ინსპექტორს დამოუკიდებლობის მინიმალური გარანტიებიც კი არ გააჩნია.

5.3. დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში საბჭოში სათანადო ფორმის დაცვით შევიდა 170 დისციპლინური საჩივარი, ხოლო ფორმის დაუცველად - 317.

2017 წლის იანვრიდან 15 მარტამდე პერიოდში საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტს განსახილველად გადაეცა 134 საქმე, ხოლო 2016 წლიდან გადმოსული - 257 საქმე, სულ - 391 დისციპლინური საქმე. ამ პერიოდის შემდეგ შესული დისციპლინური საჩივრები, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, დამოუკიდებელ ინსპექტორს გადაეცემა. საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელ ინსპექტორს განსახილველად გადაეცა 138 დისციპლინური საჩივარი. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შესული დისციპლინური საჩივრების მოკვლევა ორი სრულიად განსხვავებული წესით ხდება.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 სადისციპლინო სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა 365 დისციპლინური საქმე, მათ შორის 2016 წლის 257 და 2017 წლის 108 დისციპლინური საქმე. საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოკვლევის შემდეგ დისციპლინური საჩივრები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ გადასცემია.

365 დისციპლინური საქმიდან დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა 345 საქმეზე. მოთხოვნის მიუხედავად, დისციპლინური სამართალარმოების შეწყვეტის საფუძვლები საბჭოს მიერ გამოგზავნილ წერილში დაკონკრეტებული არ არის.[119] საბჭოს მდივნის გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დამტკიცებული და მიღებული არ იქნა 15 დისციპლინურ საქმეზე. 15 საქმეზე მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. 3 საქმეზე მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში (საჩივრები შეეხებოდა საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებასა და მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას) მიეცა. 2 საქმეზე მოხდა მოსამართლისადმი კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.[120]

2018 წელს საბჭოს ეთიკის დეპარტამენტს 2017 წელს საბჭოში შესული 41 დისციპლინური საქმე გადაეცა განსახილველად[121].

საანგარიშო პერიოდში საბჭოში შესული დისციპლინური საჩივრებიდან სამი საჩივარი მოსამართლე წევრების მიერ სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომებს შეეხებოდა. საჩივრები მოსამართლეთა მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შესაძლო ჩადენის ფაქტებს შეიცავდა. დისციპლინურ საჩივრებზე დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა,

119 საიას 2018 წლის 24 იანვრის Ng-04/14-18 წერილი, საბჭოს 2018 წლის 02 თებერვლის N195/202-03-ო წერილი;

120 https://goo.gl/qfR4SD - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის 2017 წლის სტატისტიკური ინფორმაცია;

121 საიას 2018 წლის 24 იანვრის Ng-04/14-18 წერილი, საბჭოს 2018 წლის 02 თებერვლის N195/202-03-ო წერილი;

ხოლო იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოგვაწოდა.[122]

დისციპლინური საჩივრების განხილვის შეწყვეტის ასეთი მაღალი მაჩვენებელი საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ობიექტურობასთან დაკავშირებით კითხვებს აჩენს. ანალოგიური პრობლემა წინა საანგარიშო პერიოდებშიც ფიქსირდებოდა.

როგორც საბჭოს მიერ გამოქვეყნებული 2017 წლის სტატისტიკური ინფორმაციიდან ირკვევა, საბჭოში დისციპლინური საჩივრები ყველაზე ხშირად ორი საფუძვლით შედის: მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურება.[123] ვინაიდან საბჭო არ აქვეყნებს უფრო დეტალურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ მოსამართლის რა ქმედებები იყო საჩივარში მითითებული დისციპლინურ დარღვევად, შეუძლებელია იმის შეფასება, რამდენად კანონიერად ხდებოდა აღნიშნული საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა. ამასთან, საქმის განხილვის დადგენილი ვადების დარღვევა სასამართლო სისტემაში აღიარებულ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, არასაკმარისი სტატისტიკური მონაცემების გამო შეუძლებელია შეფასდეს, ასეთი საჩივრის განხილვისას ამოწმებს თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის მიერ საქმის განხილვის ვადების უსაფუძვლოდ გაჭიანურებას, რას მიიჩნევს უსაფუძვლო გაჭიანურებად და დასაბუთებულია თუ არა ამგვარ დარღვევებზე დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებები.

ე. წ. მესამე ტალღის ცვლილებებით განისაზღვრა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შეუსაბამო საჩივრის (განცხადების) წარდგენა არ შეიძლება გახდეს მის მიღებაზე (რეგისტრაციაზე) უარის თქმის საფუძველი. მიუხედავად ამისა, საბჭოს მიერ დამტკიცებული დისციპლინური საჩივრის ფორმა კვლავ ითვალისწინებს გამართხილებელ ჩანაწერს, რომ ფორმის დაუცველად შედგენილი საჩივარი (განცხადება) არ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება საჩივრის ავტორს.

5.4. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის შემდგომი პერიოდის სტატისტიკა

2017 წლის 21 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორი აირჩია, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2017 წლის 15 მარტის შემდგომ შემოსული 138 დისციპლინური საჩივარი გადაეცა - 19 ფორმადაუცველი და 119 ფორმის დაცვით შევსებული. როგორც წერილიდან ირკვევა, დისციპლინური საჩივრები უმეტესწილად საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას ეხება.[124]

საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს და საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი, რომელიც დასკვნებსა და მოსაზრებებს წარუდგენს საბჭოს. საანგარიშო პერიოდში მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შესახებ დასკვნები და მოსაზრებები დამოუკიდებელ

122 საიას 2017 წლის 29 სექტემბრის Nგ-04/295-17 წერილი, საბჭოს 2017 წლის 10 ოქტომბრის N1166/2301-03-ო წერილი,

123 https://goo.gl/79py2v - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის 2017 წლის სტატისტიკური ინფორმაცია;

124 საიას 2018 წლის 24 იანვრის Nგ-04/14-18 წერილი, საბჭოს 2018 წლის 2 თებერვლის N195/202-03-ო წერილი;

ინსპექტორს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვისთვის არ წარუდგენია. შესაბამისად, გარკვეული პროცედურული გაუმჯობესება, რაც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებასთან იყო დაკავშირებული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პრაქტიკაში არ ამოქმედებულა.

რეკომენდაციები:

- **იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ყველა შემთხვევაში დროულად და ეფექტურად უზრუნველყოს დადებითი საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში იმპლემენტაცია; იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევის საკონკურსო წესის სრულყოფა;**

- **იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს როგორც ძველი, ისე ახალი დისციპლინური საჩივრების განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილება და საჩივრების განხილვა კანონით დადგენილ ვადაში;**

- **იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს მესამე ტალღის ცვლილებების ამოქმედებამდე განხილულ დისციპლინურ საჩივრებთან დაკავშირებით სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის გასაჯაროება, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რაში გამოიხატა დისციპლინური დარღვევა, ასევე საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სამართალწარმოების შეწყვეტის მიზეზი და საფუძველი;**

- **დაზუსტდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარების პროცედურა: დადგინდეს შერჩევის კრიტერიუმები, გასაუბრების ჩატარების წესი, კანდიდატის შეფასების წესი და დასაბუთებულობა, კონკურსის ჩატარების ობიექტურობისა და საჯაროობის პრინციპები.**

- **პარლამენტმა უზრუნველყოს მოსამართლის დისციპლინური სამართალწარმოების კანონმდებლობაში შეტანილი პოზიტიური ცვლილებების გავრცელება აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებამდე შესულ დისციპლინურ საჩივრებსა და ჩადენილი დისციპლინური დარღვევების განხილვაზე;**

- **პარლამენტმა უზრუნველყოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სტატუსის განმსაზღვრელი კანონმდებლობის დაზუსტება, რათა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი და საჯარო სამსახურის შესახებ კანონი).**